ეროვნული თავისუფლების გზით – პიროვნული თავისუფლებისაკენ!
პიროვნული თავისუფლების გზით – ეროვნული თავისუფლებისაკენ!

საქართველო

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყოველკვირეული საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი
გამოდიოდა 1903-1905, 1915-1921 წ.წ. აღდგენილია 1989 წელს.

№32 (1470) 22-25 ივლისი, 1996 წელი

ეროვნული ბიბლიოთეკა
ეროვნული ბიბლიოთეკა

გურამ პეტრიაშვილი

ფიქრები დიდი უბედურების შემდეგ

მე-4 გვ.





ვახტანგ გოგუაძე:

ერთი გახსენება ჩემი თვითმხილებისა და მატიანისათვის

მე- 2 გვ.

აფხაზეთის გასაღები გაგრაში კი არა, თბილისში ბ-ნ ედუარდ შევარდნაძეს ედო ჯიბეში –

ამბობს გაგრის ყოფილი გამგებელი

მე - 4 გვ.

არ ენდოთ იმ გაზეთს!

↓

შემოპარულია ეროვნულ მოძრაობაში!!!

↓

უფრთხილდით «ნასედკას»

მე-5 გვ.

ᲕᲘᲜ ᲘᲧᲝ ᲕᲘᲜ?

ᲛᲐᲡᲐᲚᲔᲑᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲘᲡ ᲛᲝᲛᲐᲕᲐᲚᲘ ᲛᲔᲛᲐᲢᲘᲐᲜᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

ᲖᲝᲒᲘ ᲛᲬᲐᲠᲔ ᲓᲐ ᲖᲝᲒᲘᲪ ᲜᲔᲚ-ᲗᲑᲘᲚᲘ ᲨᲔᲙᲘᲗᲮᲕᲐ ᲑᲐᲢᲝᲜ ᲕᲐᲮᲢᲐᲜᲒ ᲒᲝᲒᲣᲐᲫᲔᲡ

ᲙᲘᲓᲔᲕ ᲔᲠᲗᲘ ᲠᲘᲒᲒᲐᲠᲔᲨᲘ ᲨᲔᲙᲘᲗᲮᲕᲐ:

ᲑᲐᲢᲝᲜᲝ ᲕᲐᲮᲢᲐᲜᲒ, ᲙᲘᲓᲔᲕ ᲔᲠᲗ ᲪᲝᲓᲕᲐᲖᲔ ᲒᲕᲘᲜᲓᲐ ᲛᲝᲒᲗᲮᲝᲕᲝᲗ ᲞᲐᲡᲣᲮᲘ. ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲐᲛ ᲑᲠᲐᲚᲓᲔᲑᲐᲡ ᲗᲥᲕᲔᲜ ᲐᲠᲐᲗᲣ ᲣᲐᲠᲧᲝᲤᲗ, ᲡᲘᲐᲛᲐᲧᲘᲗ ᲐᲪᲮᲐᲓᲔᲑᲗ, ᲠᲝᲛ ᲗᲥᲕᲔᲜ ᲘᲧᲐᲕᲘᲗ ᲘᲜᲘᲪᲘᲐᲢᲝᲠᲘ ᲐᲜ ᲛᲘᲡᲘ ᲮᲔᲚᲘᲡᲨᲔᲛᲬᲧᲝᲑᲘ. ᲛᲔᲢᲘᲡᲛᲔᲢᲐᲓ ᲮᲝᲛ ᲐᲠ ᲒᲐᲓᲐᲧᲔᲕᲘᲗ ᲐᲛ ᲠᲣᲡᲔᲑᲡ? ᲙᲔᲠᲫᲝᲓ, ᲠᲐᲓ ᲒᲘᲜᲓᲝᲓᲐᲗ ᲡᲐᲛᲐᲜᲔᲗᲝ ᲖᲝᲜᲐᲨᲘ ᲨᲔᲡᲕᲚᲘᲡ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐ? ᲮᲝᲛ ᲤᲐᲥᲢᲘᲐ, ᲠᲝᲛ ᲗᲥᲕᲔᲜᲘ ᲐᲛ ᲡᲐᲙᲘᲗᲮᲨᲘ ᲓᲐᲛᲐᲠᲪᲮᲓᲘᲗ, ᲗᲥᲕᲔᲜᲘ ᲛᲝᲗᲮᲝᲕᲜᲐ ᲐᲠᲪ ᲡᲬᲝᲠᲘ ᲘᲧᲝ ᲓᲐ ᲐᲠᲪ ᲒᲐᲛᲝᲕᲘᲓᲐ.

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „საქართველო“ № 26,27,28,29,30,31

ᲕᲐᲮᲢᲐᲜᲒ ᲒᲝᲒᲣᲐᲫᲔ: ᲔᲠᲗᲘ ᲒᲐᲮᲡᲔᲜᲔᲑᲐ ᲩᲔᲛᲘ ᲗᲕᲘᲗᲛᲮᲘᲚᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲛᲐᲢᲘᲐᲜᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

— ᲕᲘᲜᲪ ჩემს 9 იანვრის (1994 წ.) ტელემიმართვას წაიკითხავს (გადმობეჭდილს გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“ და „Свободная Грузия“-ში) ადვილად მიხვდება, რომ მის ავტორს ესმის, საკუთრივ სამანეთო ზონაში ვერ შეგიყვანენ, მაგრამ რაღაცაში ხომ არის საქმე?

მე გავაკეთე სომხური ვარიანტი. სომხებმა ჩემზე უკეთ იცოდნენ, რომ სამანეთო ზონაში ვერ მიიღებდნენ, მაგრამ სთხოვეს რუსებს, მიგვიღეთო. რუსებმა უპასუხეს, ძმებო, სომხებო, სამანეთო ზონაში არა, მაგრამ, ა, ბატონო კრედიტები. (სხვათაშორის რუსეთის კრედიტები ცოტა უფრო სხვაგვარია, ვიდრე სხვისა). გახსოვთ, შუმეიკომ 120 მილიარდი რუბლი ჩაუტანა სომხებს. დანარჩენი კიდევ რამდენი მიიღეს, გაიკითხ-გამოიკითხეთ. მე საკმაოდ კარგად ვიცი, იმ მიმართვას რა პოლიტიკური მნიშვნელობა ჰქონდა, ამაზე ცოტა ქვემოთ.

შემოკლებით გთავაზობთ ამ გამოსვლის ტექსტს

1. CHГ-ში შესვლით ჩვენ ერთი ნაბიჯი გადავდგით რუსეთისაკენ. რუსეთმაც ერთი ნაბიჯი გადმოდგა ჩვენსკენ. ცაში ქუდებს არ ისვრიან, ეს რა ბედნიერებაა, საქართველომ პატივი დაგვდოო. რუსეთი პირდაპირ გვეუბნება, — რამდენ ნაბიჯსაც გადმოდგამთ ჩვენსკენ, იმდენს გადმოვდგამთ თქვენსკენ. ძმობა გინდათ, ძმები ვიქნებით. ჩვენ რუსეთს ულტიმატუმებით ველაპარაკებით. ჩვენ უფრო ღირსეულად შეგვიძლია ველაპარაკოთ მას ძმობისა და ნდობის ენაზე. მე პირადად რუსეთის ძმობას საამაყოდ ჩავთვლი. ვინც არ ჩათვლის, მას ეტყობა უკეთესი ძმა ჰყავს. პირდაპირ ვიტყვი, რუსეთზე უფრო საიმედო ძმას ჩვენ ვერ ვიშოვით. ძმების თუ მოკავშირეების გარეშე დღეს არც სახელმწიფო არსებობს და არც ოჯახი. მე მოგიწოდებთ, რუსეთს ველაპარაკოთ ნდობითა და მეგობრობით. თუ დავაგვიანეთ, ჩვენ აღარ ვიქნებით, ან თუ ვიქნებით, ჩვენს ძმობას აღარავინ მოისურვებს. ჩვენ ველაპარაკოთ რუსეთს ისე, როგორც ჩვენი მამა-პაპანი ელაპარაკებოდნენ. რუსეთმა ერთხელ ჩვენ გადაგვარჩინა, ნაკუწ-ნაკუწად ქცეული ქვეყანა გაგვაერთიანებინა. თუ ამას არ ვაღიარებთ, გაგახსენებთ, — უმადური არც კაცი და არც ხალხი არ უყვარს ღმერთს. ეს ბიბლიური ჭეშმარიტებაა ჩვენს თვალწინ გაცხადებული. ვიცი გაგაღიზიანებთ, მაგრამ დეე გაღიზიანდით! მირჩევნია, მე დავუჩოქო რუსეთს, ვიდრე ჩემი ხალხი ვნახო დაჩოქილი. ვისაც პირიქით ემარჯვება, ღმერთმა მოგვკითხოს ყველას! მე მომხრე ვარ რუსვთთან ღია, ნდობისა და ძმობის ენაზე ლაპარაკისა და ვთხოვო მას აქტიური დახმარება ჩემი ქვეყნის გადარჩენისა და ფეხზე დადგომისათვის. ვისაც სხვა აზრი აქვს, ვთხოვ ნუ მოსცდება ჩემს „მოღალატეობაზე“ ლაპარაკისათვის და წარმოგვ დგინოს არა საქართველოს გმირული თვითგანადგურების ალტერნატივა, არამედ ღირსეული გადარჩენის კონკრეტული პროგრამა. კიდევ უფრო დავაკონკრეტებ ჩემს წინადადებებს: ვისაც ექნება განსხვავებული აზრი, წარმოადგინოს ალტერნატიული აზრი, და არა ტრადიციული მიეთ-მოეთი — „რაღაცა უნდა გამოიძებნოსო“, მხოლოდ კონკრეტულად!

2. რაც შეიძლება სწრაფად უნდა დაისვას საკითხი სამანეთო ზონაში გაწევრიანებისათვის. არ ვარ დარწმუნებული — მიგვიღებენ თუ არა. მაგრამ უნდა ვეცადოთ. ჩვენ ვართ უფულო-უხელფასო ქვეყანა. უფულო სახელმწიფო კი კარგა ხანია არ იცის ისტორიამ. თუ ვინმეს ეგულება სხვა ფინანსური წყარო, საშუალება — ჩემი თაყვანისცემა მას. კიდევ ერთხელ შეგახსენებთ, ლაპარაკია კონკრეტულად ფულზე და არა ინდულგენციებზე. რა თქმა უნდა, ამ წინადადებას, ჭირვეულ პოლიტიკოსთა გარდა, კეთილად არ შეხვდებიან ისინი, ვისაც ჯიბე სავსე აქვს დოლარითა და მანეთით. მაგრამ ისინიც სცდებიან, თუ ქვეყანა თავზე დაგვეჭცა, ოხრად დარჩებათ ერთიც და მეორეც.

3. ის, ვინც დღეს იტყვის, რომ მხოლოდ საქართველოს სამართალდამცავი ორგანოების ძალით შესაძლებელია ელემენტარული წესრიგის დაცვაო, ძალიან შეცდება. უფულო პოლიციელი პოტენციური ყაჩაღია თუ რეალური არა. მშიერი პოლიციელი საშმლის შოვნაზე იფიქრებს და არა მაღალ იდეალებზე, სახელმწიფოებრივ წესრიგზე.

ორშაბათს, დილის რადიო-ინტერვიუში სახელმწიფოს მეთაურს რადიოკორესპონდენტი ეკითხება — როგორ გავიგოთ გოგუაძის მორიგი სენსაციური განცხადება სამანეთო ზონაში შესვლის შესახებო. იგრძნობოდა, რომ შეკითხვის ავტორმა კარგად იცოდა სახელმწიფოს მეთაურის პოზიცია და ამიტომაც ხმაშიც ემჩნეოდა ყოვლისმცოდნის ცინიზმი, თუმცა ჩემს ამ განცხადებას თვითონ მეთაურმა არ დასცინა, მაგრამ ნაჩქარევი უწოდა. აი, ახლა მე წავალ შტატებში, მსოფლიო ბანკში, სავალუტო ფონდში და ყველაფერი კარგად იქნებაო. სამანეთო ზონაში ჩვენ, რა თქმა უნდა, არ შევალთო, ეს თქვა იმ თვითდაჯერებით, რომ ფულის პრობლემა აღარ გვექნებოდა.

11 იანვარს პარლამენტში ჩემი ინიციატივით მოეწყო ორდღიანი დისკუსია სამანეთო-სავალუტო საკითხზე. დისკუსია ცხარე გამოდგა, თუმცა დეპუტატებმა, ოპოზიციამ მხარი არ დაუჭირა სამანეთო ზონაში შესვლის შესახებ საკითხს, მაგრამ სრულიად კანონზომიერად მიიჩნიეს ვალუტის პრობლემის დასმა. თვით დეპუტატებს მე მადლობა გადავუხადე. მწარე საუბარი გვქონდა ეროვნული ბანკის პრეზიდენტთან და აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენლებთან. მიტევდნენ, ვუტევდი.

— თქვენ მე გეკითხებით, ხალხს ექნება თუ არა ფული, გვითხარით კონკრეტულად. ეს კარგია, რომ ლამაზი და ბუნდოვანი ლაპარაკი გისწავლიათ, მე გეკითხებით, ახლა არის 11 იანვარი.მოვა 11 თებერვალი, 11 მარტი... რას ელოდებით. კვლავ და კვლავ მპასუხობდნენ ღრუბლოვანი დაპირებებით. შემდეგ ჩემი პროგნოზი გამოვაქვეყნე გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“ — სათაურით „გაღმით შეედავე, გამოღმით შეგრჩებაო“. გარკვეული დროის შემდეგ მე მას ხელახლა გამოვაქვეყნებ. კვლავ და კვლავ ვეკითხებოდი მათ — ექნებათ თუ არა ხალხს ფული?.. ჩვენი ხალხის აბსოლუტური უმრავლესობა ხომ უფულოა. ფული ქონების მიმოქცევაში ურთიერთობის საფუძველია. თუ არა გაქვს ქონება, არ გექნება ფული. დოვლათი ვისაც არა აქვს, ფული არა აქვს. რად უნდა ამას დიდი ფილოსოფოსობა. დოვლათი არ იქმნება, ეკონომიკა არ ვითარდება. სავალუტო ფონდთან ჩვენი ურთიერთობა მაგონებს ერთ ტრაგიკულ ისტორიას. 45 წლის კაცმა 15 წლის ბიჭი დააჩვია მორფის კეთებას. მისი მომმარაგებელი იყო ეს „კეთილი ძია ჟორა“. ამ ყმაწვილს ყველაზე მეტად „კეთილი ძია ჟორას“ დანახვა უხაროდა. ის „აბედნიერებდა“ მორფის „სიკეთით“, ფული ფულს იგებს, ვალი — ვალს. ვალავის ვალებს ვინ გადაიხდის? „სახარებიდან“ ერთი იგავი გავიხსენოთ, — ტალანტებზე.

მდიდარი კაცი სადღაც წავიდა. დაუძახა მონებს. ერთს მისცა 5 ტალანტი, მეორეს — 2, მესამეს — 1. პირველი მაშინვე გაეშურა სავაჭროდ, 5 ტალანტით 5 ტალანტი მოიგო. მეორემ — ორი ტალანტით — ორი. მესამემ, ზარმაცმა და დოყლაპიამ მიწაში ჩაფლო და „პატიოსნად“ დაუბრუნა დაბრუნებულ მეპატრონეს. პირველი ორი მონა კი დაამწყალობა ჭკვიანმა მეპატრონემ. ხოლო უვარგის მონას ასეთი განაჩენი გამოუტანა, „...წაართვით მაგას ტალანტი და მიეცით ათი ტალანტის მქონეს. (სხვათაშორის ის 8 ტალანტი საკმაოდ მაღალი კურსისა გახლდათ. გერმანელი მეცნიერის გოლცმანის ვარაუდით იგი უდრიდა 35.000 გერმანულ მარკას გასული საუკუნის ბოლოსათვის).

„ვინაიდან მქონებელს ყველას მიეცემა და დაუხვავდება, ხოლო უქონელს ისიც წაერთმევა, რაც აქვს“ (მათე, 25, 28-29) უქონელს, უშრომელს, სხვის ხელში შემყურეს, ვალისა და ჰუმანიტარული წყალობის შემყურეს „ისიც წაერთმევა, რაც აქვს“.

თუ ფულს მასესხებ, მომეცი ნება ჩემი ქვეყნის საკეთილდღეოდ, ოპტიმალურად გამოვიყენო იგი. არა, მე როგორც გიკარნახებ, იმას იყიდი, ისე გაყიდი (თუმცა რაღა გრჩება გასაყიდი). ამ კარნახის პოლიტიკური მიზანია მოგვწყვიტოს რუსეთს, ყაზახეთს, უზბეკეთსა თუ სხვა მდიდარ ქვეყნებს (მე არ მეშლება რასაც ვამბობ!). ტექნიკურ-ეკონომიკური დონის თვალსაზრისით, ცხადია, ყაზახეთი ვერ შეედრება ევროპის ქვეყნებს, მაგრამ ყაზახეთს მეტი სიმდიდრე აქვს, ვიდრე მთელ ევროპას. ურთიერთთანამშრომლობა ამ ქვეყნებთან გვჭირდება, ერთიან სტანდარტებს ექვემდებარება, ერთმანეთში კიდეც გავყიდით, კიდეც ვიყიდით, ჩემთვისაც კარგი იქნება, მისთვისაც.

მთელ მსოფლიოს თვალი უჭირავს რუსეთის ბაზარზე, მასთან ხელსაყრელ ეკონომიკურ თანამშრომლობაზე. ზოგს უნდა იგი კოლონიურ ქვეყნად, ნედლეულის გაზიდვის წყაროდ აქციოს. მაგრამ ევროპამ იცის, რომ ახლა უკვე დასუსტებული, გამწარებული რუსეთი არავის მისცემს ხეირს. გატანით ისედაც ბევრია გატანილი. შევთანხმდეთ: რუსეთის ბაზარზე ძლიერსა თუ სუსტს — ყველას უჭირავს თვალი. ერთ-ერთი იშვიათთაგანი ვართ ჩვენ, რომელთაც არ გვინდა ეს ეკონომიკური თანამშრომლობა. ახლა ოფიციოზის წარმომადგენელს შეუძლია ჩემს სიტყვას დაეძგეროს — როგორ თუ ეკონომიკური თანამშრომლობის წინააღმდეგი ვართ. ჩვენ ხომ ღრმა ინტეგრაციის მომხრეც ვართო და ა.შ. ეს მხოლოდ სიტყვებია. სადაც პოლიტიკა კეთებადია და არა სიტყვიერი, საქმე სხვაგვარადაა.

შარშანწინ, ჩემი განცხადების შემდეგ, სამანეთო ზონაში შესვლის თაობაზე, ჩვენმა ხელისუფლებამ მტკიცედ აუქნია ხელი მანეთს, მტკიცედ გამოხატა ჩვენი უარი. პარალელურად ხალხს ვპირდებოდით, რომ რუსეთი შეგვპირდა 20 მილიარდ რუბლს. ამ რუბლით ვიყიდით მაზუთს, — ჩაგათბობთ, ჩაგაღუნღულებთო. მე არაერთსა და არაერთგზის ვუთხარი ყველას — არ მოგვცემენ ამ 20 მილიარდს-თქო. რატომ? სულ ელემენტალურად. არ მინდა შენი მანეთის სივრცის გაგონება, არ მინდა (საქმით რეალურად) შენთან ეკონომიკური თანამშრომლობა. ზოგიერთ ჩვენს პოლიტიკოსს ჰგონია, რომ ჩვენ უფრო ეშმაკები ვართ, ვიდრე რუსები. რუსების მოტყუების უნარი იმდენჯერ აღემატება ჩვენსას, რამდენჯერაც რუსეთის ტერიტორია საქართველოსაა. დიპლომატიას რუსებს ჩვენ ვერ ვასწავლით. ვიმეორებ, ჩვენ მხოლოდ სიტყვიერად ვაღიარებთ, რომ გვინდა რუსეთთან ეკონომიკურ-პოლიტიკური თანამშრომლობა, რეალურად კი შეადარეთ რამდენი პროცენტია საქართველოსა და რუსებს შორის, საქართველოსა და თურქეთს შორის ვაჭრობის მოცულობა და მერე მეკამათეთ.

ერთი გახსენება ჩემი თვითმხილებისა და მა-

გაგრძელება მე -3 გვ.

მეორე გვერდიდან

ტიანესათვის. 1994 წლის 2 ივნისს მინსკში, მთავრობის აგარაკზე, ტბის პირას ერთ სახელდახელო „ბრეზენტის“ კარავში გახლდით. წინა დღით კი მინსკში ჩატარდა ბელორუსიის ფაშიზმზე გათავისუფლების 50 წლისთავის გრანდიოზული იუბილე. საბჭოთა კავშირის ყოფილი თხუთმეტივე რესპუბლიკის ხელმძღვანელ წარმომადგენლები გახლდათ, მათ შორის ბრაზაუსკასიც. დავბრუნდეთ „ბრეზენტის“ კარავში. აქ იყვნენ: ბელორუსიის პარლამენტის თავმჯდომარე გრიბი და პრემიერ კებიჩი, მოლდოვეთის პრალამენტის თავმჯდომარე ლუჩინსკი, უკრაინის პრემიერი მასოლი, რუსეთის პრემიერი ჩერნომირდინი, ბანკის პრეზიდენტი გერაშენკო და მე. თამადობდა ჩერნომირდინი. მან თქვა (კიდევ ერთხელ ვიხდი ბოდიშს რუსულ ენაზე ციტირებისათვის. ეს ყველაფერი დოკუმენტია და იმიტომ):

– Друзья мои, последние годы Россия пробивается к Западу, но Запад нас не хочет, Запад нас не принимает, тем более, когда мы поодиночке стараемся идти туда, это же глупо. Давайте протянуть друг другу руку, вместе мы сможем вытянуть нашу экономику.

როგორც ხედავთ, მას შემდეგ ბევრი რამ შეიცვალა დასავლეთსა და რუსეთს შორის. მაგრამ მე უფრო სხვა მნიშვნელოვანი ეპიზოდი მაინტერესებს „ბრეზენტის კარავიდან“. მე ვიჯექი უკრაინის პრემიერსა და გერაშენკოს შორის. გერაშენკო ძალიან სასიამოვნო თანამოსაუბრე აღმოჩნდა და ეუთხარი ერთი სიტყვით, ძალიან გვიჭირს ფინანსურად (მაშინ ერთი ჩვენი აკადემიკოსი გარდაიცვალა შიმშილისაგან, მაგრამ ცხადია, ეს არ მითქვამს). მან დაუყოვნებლივ კითხვით მომიგო ჩემს კითხვაზე.

— მერედა, ვისი ბრალია?

— ვისი?!

— ვისი და თქვენი. თქვენ არ გინდათ ჩვენთან ურთიერთობა, „у вас никаких проблем не было бы с нами“. მე გაკვირვებული ვეკითხები — ვუთხრა მე ამის შესახებ შევარდნაძეს? (მე ვიგულისხმე მისი უყოყმანო ხელგაშლილობა, ვიფიქრე, ახლა მაინც დაიხევს უკან-თქო). მაშინვე მითხრა:

— კი ბატონო!

როდის ჩამობრძანდებით თბილისში?

— როცა მეტყვით.

ვის არ ვუთხარი, ტელევიზიითაც ვთქვი, მაგრამ...

მე ვეთანხმები და აღფრთოვანებული ვარ ბატონი მერაბ მამარდაშვილის კლასიკური ნათქვმით — ჭეშმარიტებას სამშობლოზე მაღლა ვაყენებო. მაგრამ პირადად ჩემი დევიზი რაც ის მოძრაობები დაიწყო ასეთი გახლდათ — „მარტოკამ უნდა ვიომო, მთელმა ჯარეგამ მნახოსა“. რაც არ უნდა არ ვეთანხმებოდე მე ჩემი ქვეყნის პოლიტიკას თუ კურსს, თუ გაგიჟდება ჩემი ხალხი მეც გავგიჟდები და მის ჯარისკაცად დავრჩები. გაგახსენებთ, თემისაგან შერისხული ჯოყოლა განმარტოებით ებრძვის შემოსეულ მტერს, იბრძვის და შეეწირება. ერთადერთი ხეირიანი გამოთქმა წამომცდა, თუ ტრაბახში არ ჩამომართმევთ, რითაც გიპასუხებთ („რამ შეგაყვარა ეს რუსებიო“). შუმეიკო და მე შარშან, 1995 წლის 24 აპრილს (აღდგომის მეორე დღეს), ბოსფორზე, გემის კიბუტაში (მხოლოდ ორნი) ვიყავით, სრული გულახდილობის ატმოსფერო გახლდათ. ავიღე ჭიქა, (ჩემი საყვარელი ჭიქა, რამდენ რამეს კარგს გათქმევინებს ეს ოხერი!) და ვეუბნები: „Владимир Филлимонович, знайте почему я люблю русский народ? გაკვირვებული შემომხედა ამ არც თუ გონიერ კითხვაზე. „Потому, что я до безумия люблю свой народ“ მან აღფრთოვანებით მომიჭახუნა ჭიქა: „Потому и верят вам“.

ბატონო რედაქტორო, ისეთი კითხვა-დაკითხვებია, პასუხები მოითხოვს „მე“-ზე ლაპარაკს. მაქსიმალურად ვცდილობ, თუ ვინმეს კარგი უთქვამს ჩემზე ამ ურთიერთობებში, ის არ ვთქვა, მაგრამ ნებით თუ უნებლიეთ, ხანდახან მაინც იძულებული ხდები რაღაც წამოგცდეს, ვაი თუ თავის ქებას ჰგავდეს. არაფერი თავსაქებარი არ გამიკეთებია, მაგრამ არც ხუმრობაში, არც სადღეგრძელოში არც ერთი წამით არ მავიწყდებოდა, მე რომ მსახური ვარ ჩემი ქვეყნისა, ჩემი თავი მე არ მეკუთვნოდა. ახლა, როცა ჩემთვისაც დავიხსენი ჩემი თავი, ხანდახან ზედმეტს ხომ არ ვლაპარაკობ, ხომ არ მოგაბეზრეთ თავი?!

გაგრძელება იქნება

გურამ პეტრიაშვილი

ფიქრები დიდი უბედურების შემდეგ

დასასრული. დასაწ. იხ. „საქართველო“ №31.

როდესაც ვახუშტი კოტეტიშვილი ტელევიზიით გამოდიოდა, ჩემი ძმა და მე ვითარებათა გამო ერთ ნასახლარს ვიყავით შეფარებული.

თბილისში ჯერ კიდევ ისმოდა ავტომატების ხმა, ქუჩების ექოთი ათასჯერ გაზრდილი.

ძმათა მკვლელი ომის გონების დამბინდავი ჯინი ჯერაც არ ჩამცხრალიყო.

ხომ შეიძლებოდა, რომ რომელიმე ავტომატიან კაცს, ვინც მოისმინა ბატონი ვახუშტის მიერ სულისშემძვრელი მღელვარებით ნათქვამი ბრალდება, ჩემი ძმის დანახვაზე ინსტიქტურად გამოეკრა თითი ჩახმახისათვის.

და კიდევ ერთი მსხვერპლი შეემატებოდა ჩვენი საბარელი ომის სისხლიან ანგარიშს.

ერთი კი არა — ორი, რადგან ალბათ მეც ზედ მიმაყოლებდა მსროლელი.

არც ჩემს ძმას და არც მე დაგვიმახურებია, რომ მოძმის ხელით ვყოფილიყავით მოკლული.

ის ამბავი, რომ ჩვენ „უზენაეს“ საბჭოში ვმუშაობდით, სულაც არაა მიზეზი, რომ დამნაშავედ მიგვიჩნიოს ვინმემ, თუნდაც ეს ვინმე მომხრე იყოს სამხედრო საბჭოსი და დროებითი მთავრობისა.

თუ როგორ ვმუშაობდით ჩემი ძმა და მე, როგორც დეპუტატები, ამისი უამრავი მოწმეა და უისაც დასჭირდება, შეუძლია გაიკითხოს.

რობერტ პეტრიაშვილისადმი პრეტენზია არავის უნდა ჰქონდეს, რაც შემეხება მე, ვიცი, რაც დამიშავებია.

ორიოდე მიტინგზე და რადიო გამოსვლაში წამომცდა ზოგიერთი პიროვნებისადმი სალანძღავი სიტყვები. თავს ვერ გავიმართლებ, არ ვიყავი სწორი, ოღონდ მინდა მკითხველმა იცოდეს, თუ რატომ მომივიდა შეცდომა.

მთელი არსებით ვგრძნობდი, რომ რაღაც საშინელება უნდა დატრიალებულიყო. იმასაც ვგრძნობდი, რომ ვერაფრით იმ უბედურებას ვერ ავიცილებდით და ამით გაჭწარებული ვკარგავდი წონასწორობას.

არ მამართლებს არც ის, რომ მოწინააღმდეგე მხარეც არ ერიდებოდა ლანძღვა-გინებას.

ახლა, როცა თავს დამტყდარი საშინელებით და უბედურებით შეძრულნი ვალდებულნი ვართ უფრო ჭკვიანნი გავხდეთ, ვიდრე აქამდე ვიყავით, მივხვდი თუ რატომ ილანძღებოდა ორივე მხარე.

ქართველებს ხომ ორასი წელია არა გვქონია პოლიტიკური ცხოვრება.

გამოუცდელობის გამო ვიყენებდით ამ ხერხს.

ეტყობა, გაუცნობიერებლად ასეთი იყო ჩვენი მოქმედების მიზანი:

თუ მოწინააღმდეგეს გალანძღავ, ყველა დაინახავს, რომ ის ცუდია. მას მოიხრეები მიატოვებენ და მარტო დარჩება. და როცა მარტო დარჩება, მიხვდება, რომ მე ვარ მართალი, მიატოვებს თავის პოზიციას და ჩემსკენ გადმოვა.

სისულელემდე მისული გულუბრყვილობაა, — ხომ?

სწორია, მაგრამ ნამდვილად ეგრე იყო.

საბარელი ომიდან, რომელიც ჩვენ გადავიტანეთ, ერთი დიდი გაკვეთილი ისიც უნდა მივიღოთ, რომ არ შეიძლება პოლიტიკოსებმა ერთმანეთი ლანძღვით დაამცირონ და ამით თავიც დიამცირონ და მსმენელიც შეურაცხყონ.

პირადად მე არაკორექტულ სიტყვას აღარასოდეს ვიტყვი და სხვასაც მოვუწოდებ ამისაკენ.

ბოლოს მინდა ერთ ფაქტზეც ვთქვა ორიოდე სიტყვა.

ეს ფაქტი მე მეხება.

მას შემდეგ, რაც თბილისში სამხედრო საბჭომ და დროებითმა მთავრობამ აიღო ხელში ძალაუფლება, ტელევიზიაში, რადიოსა და პრესაში სულ ჩემი სახელისა და გვარის ხსენებაა.

ძირითადად ჩემი კოლეგები ლაპარაკობენ ჩემზე.

ცხადია, არ მაქებენ.

როგორლაც ოპოზიციამ მე მიმიჩნია „მრგვალი მაგიდა-თავისუფალი საქართველოს“ იდეოლოგად და ახლა ყველა ინტელიგენტი, ვისაც „მრგვალი მაგიდა“ არ მოსწონს, ჯავრს ჩემზე იყრის.

კრიტიკას მე შეჩვეული ვარ.

არასოდეს მიზრუნია, არიქა, ჩემზე რაიმე არ დაიბეჭდოს კრიტიკული - მეთქი.

პირიქით, ყველა რედაქტორს ვთხოვდი, რასაც მოგიტანენ. უცვლელად დაბეჭდეთ, არ შეარბილოთ, მეთქი.

მუდამ ყურადღებით ვკითხულობ და ვისმენ, თუ რას ამბობენ ჩემზე.

ღმერთმანი, გულწრფელად მინდოდა და მინდა მხოლოდ ერთი:

რომ ერთმანეთს ჯუთხრათ ქართველებმა, თუ რას ვაკეთებთ კარგს და რას ვაკეთებთ ცუდს. კარგი გავაღრმაოთ და ცუდი მოვიშოროთ.

და ამით უკეთესი გავხდეთ.

ოღონდ კონკრეტულად უნდა ჯუთხრათ ერთმანეთს ჩვენი სათქმელი.

აი“ საქართველოს“ 11 იანვრის ნომერში ქალბატონი ირინა სარიშვილი წერს ჩემზე: „ან თვითონ უზენაეს საბჭოში რა ხდება — ღრმად პატივცემული გურამ პეტრიაშვილი არ უნდა წყვეტდეს ჩემი ქვეყნის და ამდენად ჩემს ბედს“.

ვისაც სურს, შეამოწმოს ჩემი ნათქვამი, გადაშალოს ჩემი წიგნები და ნახავს, არასოდეს გავკადნიერებულვარ ვინმეზე უარყოფითი აზრი გამომეთქვა, ასე გაკვრით და დაუსაბუთებლად.

„ღრმად პატივცემულიო“ დამცინის ქალბატონი ირინა.

კი, ბატონო შეიძლება მართლაც კიყო რაღაცის გამო სასაცილო. მაგრამ ხომ უნდა ვიცოდე, თუ კერძოდ, რის გამო დავიმახურე დაცინვა?

რაც შეეხება იმას, თუ ვის უნდა იყოს უზენაეს საბჭოში და ვინ უნდა წყვეტდეს ჩვენი ქვეყნის ბედს, უნდა მოგახსენოთ, რომ ბევრჯერ განმიცხადებია, პოლიტიკოსი არ გახლავართ—მეთქი. უზენაეს საბჭოს კულტურის საკითხებიც ეხება და მხოლოდ ამიტომ მიმაჩნია, რომ შემეძლო იქ მეც მეჯუსჯუსა შეძლებისამებრ.

პოლიტიკოსის ნიჭი, ალბათ, ირინა სარიშვილს უფრო აქვს. ამიტომაც მიმაჩნია: შეცდომა იყო 1990 წლის 28 ოქტომბრის არჩევნებში ეროვნულ-დემოკრატიულმა პარტიამ რომ არ მიიღო მონაწილეობა. იმ არჩევნებში ამ პარტიასაც. ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიასაც და ყველა სხვა მნიშვნელოვან პოლიტიკურ ძალასაც უნდა მიეღო მონაწილეობა. მაშინ, დარწმუნებული ვარ, აღარ მოვიდოდით დეკემბერ-იანვრის სისხლიან ამბებამდე.

ბატონი ირაკლი სურგულაძის ნათქვამი ისე გავიგე, თითქოს მას მე ქართული კულტურის მტერი ვგონივარ.

ასეთი განცხადების გაკეთება როგორ შეიძლება.

ქართული კულტურა მეც, ალბათ, არანაკლებ მიყვარს, ვიდრე ბატონ ირაკლის.

ჩემი კრიტიკული შენიშვნები მიმართულია ქართული კულტურის იმ ფაქტებისადმი, რომლებსაც დაღი დასვა იმპერიის ბატონობამ.

ბატონმა ირაკლი სურგულაძემ, ისევე როგორც ქალბატონმა ირა ორჯონიკიძემ და ბატონმა რევაზ მიშველაძემ ერთი ხელის მოსმით გადამიყარეს ყველაფერი, რაც მწერლობაში გამიკეთებია ოცდახუთი წლის მანძილზე.

იცით რა ვიგრძენი?

კი, ამბობენ, ამ ომში ყველა დავმარცხდითო, მაგრამ ზოგიერთი ბატონი და ქალბატონი ნამდვილ ტრიუმფატორად გრძნობს თავს.

ყოველ შემთხვევაში მე ვერასოდეს გავკადნიერდები და ვერც ჩემს კოლეგას და ვერც სხვა ვინმეს ასეთ განაჩენს ვერ გამოვუტან: არაფერი გაუკეთებია-მეთქი.

ქალბატონმა მანანა გიგინეიშვილმა მთლად განმაცვიფრა: „-ჩვენ ხომ ვართ ის საზოგადოება, სადაც შესაძლებელია პეტრიაშვილი გალაღდეს“ -ო.

კი მაგრამ რით ვიყავი გალაღებული?

იმით, რომ რამდენჯერმე გამოვედი ტელევიზიით და რადიოთი?

თუ არ მოსწონდა ვინმეს- ჩემი აზრები, მაკრიტიკებდნენ და ეს კრიტიკა იბეჭდებოდა.

დაეწერა ქალბატონ მანანას, რაშიც არ მეთანხმებოდა და ისიც დაიბეჭდებოდა, თუ მაშინ არ დაწერა, ახლა დაწეროს. სიამოვნებით მოვუსმენ, რასაც სწორს მეტყვის. გავიგებ, რაც არ მომეწონება, კორექტულად შევეკამათები.

მაინც რას ნიშნავს გალაღება?

იქნებ ქალბატონი მანანა იმას მიანიშნებს, რომ დასაჭერი ვარ ჩემი აზრებისათვის?

მერედა ეთანხმება ეგეთი აზრები მის დემოკრატობას?

დაბოლოს:

ამ წერილში არ მიხსენებია ერთი სიტყვა, რომელმაც უნდა გადაგვარჩინოს ქართველები.

სიყვარული!

ვერავინ ვერ გახდება ჭეშმარიტი დემოკრატი, თუკი გულში სიყვარული არ უგიზგიზებს.

ვერც თავისი ქვეყნის დამოუკიდებლობისთვის იბრძოლებს ის, ვინც სიყვარული არ იცის.

საქართველო პატარაა და ამ ვეება და სასტიკ სამყაროში მას გადარჩენს მხოლოდ მის შვილთა ურთიერთსიყვარული.

მე თქვენ მიყვარხართ, ქართველებო.

მინდა ჩემი ლექსი გითხრათ, რომელიც ერთ ქართველ მწერალს ეუძღვენი.

არ ვიცი, ისევ უნდა თუ არა იმ კაცს ჩემი ლექსი, ამიტომ ახლა მის გვარს არ ვახსენებ.

მიუხედავად ყველაფრისა, მაინც მჯერა, რომ მალე ყველაფერი კარგად იქნება.

საქართველოში გაიმარჯვებს სიყვარული.

ახლა კი წაიკითხეთ ლექსი:

საქართველოვ, ულრან ტყეში

დაკარგულო თიკანო!

ვინ არ გდია კბილთა ღრჭენით,

ბნელში თვალთა ბრიალით.

ყველა ისვრის, ყველა ტყვიის სამიზნევ

და ნიშანო!

გულს ნუ მიკლავ მაგ პაწია

ზანზალაკის წკრიალით!

მიხვალ ბნელში, მიგაჭვს ჯვარი,

შუბლზე გამოხატული

და ციმციმი გზას გინათებს

მანათობელ ჯვარისა.

მაგრამ მაგ შუქს ხედავს მტერიც, ავად

წამომართული.

გაგცემს ჯვარი მოციმციმე და

წკრიალი ზარისა.

მოდის მტერი ყოველი მხრით, ათასი

ხმით მკივარი,

შენ კი ერთი უთვისტომო, ეული და

მზებნელი...

მოდის ეშვი, კლანჭი, ბრჭყალი,

ცეცხლი, ხმალი, ისარი,

ბნელს აწყდები უსასოო, ანთუ

მხსნელთა მძებნელი.

ხან საცოდავ რქებსაც იქნევ, წრეში

გამოკეტილი,

ხან ბედს ნისლში ემალები და ხანაც

წინ მიუხტი.

მერე წამით მზე დაჩნდება — ზეცის

თვალი კეთილი

და შენ ისევ მიბაკუნობ. საბრალო და

ჯიუტი.

ისევა ხარ... გიმზერს მტერი, ავად

წამომართული.

და არა და არ თავდება ბედის შავი

ტრიალი

ან ეგ ჯვარი გშველის იქნებ, შუბლზე

გამოხატული.

ან ღმერთს მოსწონს მაგ პაწია

ზანზალაკის წკრიალი.

გაზ. „საქართველო“ 1992 წ. 18 იანვარი.

პოლემიკა

აფხაზეთის გასაღები გაგრაში კი არა, თბილისში ბ-ნ ედუარდ შევარდნაძეს ედო ჯიბეში

ღია წერილი ბ-ნ დავით სომასურიძეს

გაზეთ „საქართველოს“ ა.წ. 17-20 ივნისის ნომერში გამოქვეყნებული თქვენი ინტერვიუ რომ წავიკითხე, მართალი გითხრათ, როგორც იტყვიან, თმა ყალყზე დამიდგა... და ეს მარტო იმიტომ კი არა, იმ ინტერვიუში მე „წკეპლა“ რომ გადმომკარით ბატონო პოლკოვნიკო, აქაოდა გაგრის მისადგომებთან აფხაზთა მიერ წამოწყებული იერიში გვარდიელებმა მოიგერიეს, **„მეორე დღეს კი გაგრის გამგებელმა ჯონი ლატარიამ** ტელევიზიას ინფორმაცია მიაწოდა, თითქოს გაგრის მხედრიონმა მოიგერია იერიშიო“ და იქვე დასძენთ, რომ: „ასეთი ფაქტები გვარდიასა და მხედრიონს შორის გათიშულობასა და კონფრონტაციას იწვევდაო“.

თქვენ კონკრეტულად არ ასახელებთ, სახელდობრ, აფხაზთა რომელ იერიშზეა ლაპარაკი და ამიტომაც ზედმეტად მიმაჩნია თავის მართლება... მაგრამ ტელევიზიისათვის მიწოდებულ ჩემს ინფორმაციას გაგრაში თავგზააბნეულ და უღიმღამოდ მოქმედ გვარდიასა და მხედრიონს შორის არსებული გათიშულობის გამომწვევ მიზეზად თუ მიიჩნევთ, — ეს მარტო სიყალბე როდია... იმ ცოდვებს, რომელმაც გაგრის ტრაგედიამდე მიგვიყვანა, ყველას მოგვკითხავენ, ადრე თუ გვიან, მეც, თქვენც და სხვასაც...

წელებზე ფეხს იდგამთ, იმისათვის, რათა ამტკიცოთ, რომ გაგრის დაცვაში უდიდესი როლი შეასრულა საბრძოლო მოქმედების მთავარმა შტაბმა, რომლის უფროსადაც თქვენ იყავით დანიშნული.

იქვე დასძენთ, რომ გაგრაში (უფრო სწორად განთიად-ლესელიძეში) თქვენ ომის დაწყების მესამე დღეს ჩახვედით. ნება მიბოძეთ, ბატონო პოლკოვნიკო, გკითხოთ: თქვენს ჩამოსვლამდე ვინ იგერიებდა გაგრის მისადგომებთან (სოფელ კოლხიდაში) აფხაზთა და მათი დაქირავებული ბანდების გააფთრებულ იერიშებს? უპასუხოდ სტოვებთ ჩემს შეკითხვას, რომელზედაც ინტერვიუში კრინტიც არ დაგიძრავთ?

მე დაგეხმარებით ჭეშმარიტების დადგენაში: აფხაზთა პირველი იერიშები სწორედ გაგრის მხედრიონმა (რომელიც 1991 წლის 25 მაისს შეიქმნა) მოიგერია, ადგილობრივი მილიციისა და მოსახლეობის მოხალისეთა ძალების დახმარებით, ასე რომ, ამაოდ ცდილობთ, **შავი თეთრად მოგვაჩვენოთ!**

ბატონო პოლკოვნიკო, როგორ დავიჯერო, არ გახსოვდეთ, გაგრაში მოქმედ საქართველოს შეიარაღებულ ძალებს შორის, სახელდობრ, თქვენი უფროსობით დესანტირებულ გვარდიასა და ადგილობრივ მხედრიონს შორის, კონფრონტაცია ჯერ კიდევ მაშინ დაიწყო, როცა ლესელიძეში ბრძანდებოდით. გაგრის მხედრიონის 70 კაციან რაზმს, გაგრის მილიციას და მოსახლეობის მოხალისეებს უხდებოდათ 14, 15 და 16 აგვისტოს გააფთრებული ბრძოლების წარმართება კოლხიდის მისადგომებთან, თქვენ კი ლესელიძეში დესანტირებული 800 მეომრით იყავით და გაგრაში წამოსვლაზე უარს ამბობდით იმ მოტივით, რომ „ცენტრიდან არ გქონდათ ბრძანება მიღებული გაგრაში წამოსვლისა“. თქვენ „მოხალისე მარადიორებად“ მონათლეთ გაგრაში მოქმედი სხვა ქვედანაყოფები, მაგრამ დაგავიწყდათ, რომ ლესელიძეში სწორედ თქვენი უფროსობით მოქმედი ზოგიერთი მედესანტე ართმევდა მშვიდობიან ადამიანებს ავტომანქანებს.

განა თქვენმა მეომრებმა არ გაიტაცეს გაგრის პროკურატურის კუთვნილი „ფორდის“ სისტემის მიკრო-ავტობუსი, რომელიც ბარჟით ფოთში გადაიყვანეს და საქმეში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ბატონ თამაზ ნადარეიშვილის ჩარევის შემდეგ გახდა შესაძლებელი ეს მანქანა სოხუმში ჩამოეყვანათ!

ძნელი დასაჯერებელია არც ის გახსოვდეთ, სოფელ სულევრში, რომელიც ათეულობით კალმეტრით იყო დაშორებული ფრონტის ხაზს, — თქვენი ჯარისკაცები როგორ მიუვარდნენ 4 შვილის მამას — **ქემერტელიძეს** და ერთი „საცერი ბეჭდის“ გულისათვის სიცოცხლეს გამოასალმეს იგი, როცა მარადიორი შეიპყრეს და მილიციის საქალაქო განყოფილებაში უნდა მიეყვანათ, წესრიგის დამცველებს თავს დაესხა ჯარისკაცთა მთელი რაზმი, რომელიც მილიციის განყოფილებას განადგურებას უქადდა, თუ მათ არ გაათავისუფლებდნენ.

ყველაფერი ეს თქვენს თვალწინ ხდებოდა ბატონო პოლკოვნიკო და მკრეხელობაა სხვის თვალში ბეწვი ეძიოთ, საკუთარში კი — ძელიც ვერ შენიშნოთ.

როცა ზემოთ ჩამოთვლილ „წვრილფეხა მარადიორებს“ მოგაგონებთ, მე შორს ვარ იმ აზრისაგან ვამტკიცო, ასე უღირსად იქცეოდა თქვენი უფროსობით მოქმედი „დისციპლინირებული სამხედრო შენაერთის“ (ეს თქვენი გამოთქმაა) ყველა ჯარისკაცი.

ახლა, როცა აფხაზეთი დაკარგულია (ღმერთმა ჰქნას, როგორც გვარწმუნებენ „დროებით“ იყოს იგი დაკარგული, რაშიაც ეჭვი მეპარება, ყოველ შემთხვევაში ამ მთავრობის ხელში ეს გამორიცხულია, პირიქით რაც დრო გადის, მით უფრო ვშორდებით და დაბრუნების პერსპექტივაც არ არსებობს) ყველამ, ვისაც შეეძლო თავიდან აეცილებიან ეს კატასტროფა, ნამუსიანად უნდა აწონ-დაწონოს საკუთარი და სხვათა ცოდვებიც, გააანალიზოს თითოეული შეცდომა, უნებლიე იყო იგი თუ ნებით.

ნუთუ სინდისის ქენჯნა არ გაწუხებთ ბატონო პოლკოვნიკო, როცა ამბობთ „ჩვენ 800 კაცი ვიყავით, დისციპლინირებული სამხედრო შენაერთიო“... რომელ დისციპლინაზე შეიძლება ილაპარაკო იმ „შენაერთში“, რომლის ზოგიერთი მეომრებიც გაგრაში შავი ვოლგებით დასრიალებდნენ და პლაჟზე „გამოჭერილ“ მსუბუქი ყოფაქცევის ქერათმიან გოგონებს ავტომატის სროლას ასწავლიდნენ... განა ასე არ იყო ბატონო პოლკოვნიკო? განა მე არ მქონდა აწ განსვენებულ მიხეილ მარინაშვილთან და თქვენთან ცხარე კამათი იმის თაობაზე, რომ გაგრაში მოქმედი შენაერთების ყველა მეომარი ყაზარმულ მდგომარეობაში გადაგეყვანათ?! ნუთუ არ გახსოვთ, ქალაქის №4 და №5 საშუალო სკოლის შენობები რომ შემოგთავაზეთ, თქვენ კი, როგორც იტყვიან, ქვა ააგდეთ და თავი შეუშვირეთ: უარი განაცხადეთ და კომფორტაბელურ სანატორიუმში არჩიეთ დარჩენა. ესეც რა, თავდაცვის მინისტრის ბრძანება იყო?

ამიტომ იყო კოლხიდის მისადგომებთან საომარ პოზიციაზე იმ თქვენი „800 კაციანი დისციპლინირებული შენაერთიდან“ ვერც ერთი მეომარი ვერ გამოიყვანეთ კოლხიდაში საგუშაგოზე და იძულებული გახდით იმ დღეს ჩამოსული მილიციის აკადემიის 13 კურსანტი, ბრძოლაში გამოუცდელი ბიჭები გაგეყვანათ საგუშაგოზე და შემდეგ რა მოხდა?

მოხდა ის, რომ მეორე დილით 13-ვე ყელგამოჭრილები დაგვხვდა! რას მეტყვით?

ერთი ინციდენტიც მინდა მოგაგონოთ ბატონო დავით: გაგრის განაპირა უბანი — სოფელი კოლხიდა აფსუებმა და კონფედერატებმა რომ გადაწვეს, იქიდან გამოქცეული მშვიდობიანი მოსახლეობის დროებით თავშესაფრად იმ სანატორიუმის კორპუსები რომ შევარჩიეთ, სადაც თქვენი პერსონა ცხოვრობდა, ერთი აყალ-მაყალი ატეხეთ. მოითხოვდით, უმწეო მოხუცები და ბავშვები „სხვაგან გადაიყვანეთო,“ სხვაგან კი აბსოლუტურად ყველგან, სანატორიუმი იქნებოდა თუ დასასვენებელი სახლი, მხედრიონელები, გვარდიელები და მოხალისეები ცხოვრობდნენ.

ამ მოთხოვნაზე უარი რომ გითხარით, ამით განაწყენებული ახლა ცდილობთ ჩემთან პირადი ანგარიშის გასწორების შემთხვევა ხელიდან არ გაუშვათ. იმას კი არ უფიქრდებით, თქვენ, როგორც შტაბის უფროსი, მეომრებთან უნდა ყოფილიყავით და არა კომფორტაბელურ სანატორიუმში. თავს ნებას ვაძლევ გკითხოთ:

გაგრაში დასასვენებლად იყავით ჩამოსული თუ **საბრძოლველად?!** მიპასუხებთ: საბრძოველადო და არ შეგრცხვებათ, როგორც ამას ინტერვიუში აკეთებთ, გაგრაში წაგებული ომის „გმირად“ გაასაღოთ თავი. აღწერთ რა თქვენს „დამსახურებას“ გაგრაში ჩასვლის პირველდღიდანვე, აცხადებთ: „ერთ დღეს რამდენიმე სხვადასხვა წყაროდან მივიღეთ ინფორმაცია, რომ აფხაზები გამთენიისას თავდასხმას აპირებდნენ და გაგრის აღება ჰქონდათ განზრახული, გადავწყვიტეთ მოწინააღმდეგეს დავხვედროდით იქ, სადაც არ გველოდა. მოვამზადეთ საინჟინრო პოზიციები და ტექნიკა, ჯარის ნაწილები „ტომრისებურად“ იყო შემოჭრილი მტერი სამი მხრიდან კონცენტრირებულ ცეცხლში ექცეოდა“. და ა.შ. და ა.შ.

აღწერთ რა ნაპოლეონის მემუარების ენით თქვენს „სამხედრო გენიალობას“, იქვე დასძენთ, რომ ოპერაციის წარმატებით ჩატარების შემდეგ „ყველაზე ცუდი ის მოხდა, რომ ვიღაცამ ზურგში ატეხა პანიკა, თითქოს მე და ჩემი მოადგილე პაატა ნაზარიაშვილი ბრძოლაში დაიღუპეთო“. თქვენი „დაღუპვის ცნობას“ ისე აუფორიაქებია გაგრის მოსახლეობა, რომ „იძულებული ვიყავით ბრძოლაგამოვლილებს კარდაკარ გვევლო და ბარგაკრული, გასაქცევად მომზადებული მოსახლეობა დაგვწყნარებინაო“. ჯერ ერთი, ახალგაზრდა პოლკოვნიკს მეტი თავმდაბლობა გმართებთ, „სახალხო გმირად“ რომ გამოგყავთ თავი და მეორე, გაგრის მოსახლეობა თქვენი „დაღუპვის“ გამო როდი იყო ბარგაკრული, არამედ იმ უღიმღამო მოქმედების გამო, რასაც თქვენ და თქვენი მეომრები იჩენდით. თქვენ კი არ დადიოდით კარდაკარ, არამედ ქალაქის ადმინისტრაციას, როგორც იტყვიან კბილებით ეჭირა გასაქცევად გამზადებული მოსახლეობა და ჩვენს თადარიგს, იქნებ მოხუცებისა და ბავშვების ევაკუაცია მაინც მოვახდინოთო, „პანიკად“ აღიქვამდა თქვენი არასწორი ინფორმაციით დაიმედებული გაგრის მოსახლეობა, გაგრის ადმინისტრაცია და რესპუბლიკის ხელმძღვანელობა. როცა თქვენ გაკრიტიკებთ, „თვითკრიტიკით“ უნდა ვაღიაროო, რომ არც მე გამოვიჩინე ქალაქის ადმინისტრაციის ხელმძღვანელისათვის აუცილებელი პრინციპულობა და ბედის ანაბარად დარჩენილი გაგრის მშვიდობიანი მოსახლეობა დროზე რომ ვერ გამოვიყვანეთ დაცემის პირას მდგარი ქალაქიდან, სინდისი მქჯნის! თუმცა, ამის თაობაზეც მჭონდა არასასიამოვნო საუბარი ბატონ გივი კვანტალიანთან, მაგრამ ამაზე სხვა დროს.

სხვის თვალში ბეწვის მაძიებლის როლში რომ არ გამოვიდე, იმიტომ მოგახსენებთ ზემოაღნიშნულს და აქვე დავძენ, რომ პირადად თქვენ და თქვენი უფროსი უგულვებელყოფდით ჩვენს სიგნალებს, დაწყებულს მარადიორობითა და დამთავრებულს აიბგის მთის გადმოსასვლელიდან კონფედერატ-ბანდიტთა ახალახალი ჯგუფების გამოჩენის შესახებ.

1992 წლის სექტემბერის შუა რიცხვებში პირადად ჩემთვის ცნობილი გახდა, რომ ბიჭვინთაში 7 ათასამდე ბოევიკმა მოიყარა თავი. მე ეს ინფორმაცია გადავეცი რადიოთი. გახსოვთ, მეორე დღეს სახელმწიფო საბჭოს სხდომაზე ბატონ ჭაბუა ამირეჯიბის შეკითხვას, მართალი იყო თუ არა ჩემს მიერ გადაცემული ინფორმაცია, ბატონმა ედუარდ შევარდნაძემ უპასუხა: „მე ასეთი ინფორმაცია არ გამაჩნია. ეს ალბათ სენსაციის მოყვარულებმა გადასცესო“.

მესამე დღეს კი ჩვენი პრესცენტრის უფროსი გამოიყვანეს „ალიონში“ და ათქმევინეს, „ბოევიკთა სიმრავლე შესაძლოა გაზვიადებულიაო“. მაგრამ, რას იზამ, „მეფეს ფეიქარი თვალები აქვს, — ოღონ არც სიფრთხილეს ტკივა თავიო“. ომის დამთავრებისა და აფხაზეთის „ტერიტორიის“ დაკარგვიდან 3 წლის შემდეგ ბატონმა ედუარდ შევარდნაძემ 1995 წლის 24 ივნისს მოსკოვის ტელევიზიის პირველი არხის პოპულარულ გადაცემა “ვზგლიადში“ თვითონ აღნიშნა, რომ ჩემს მიერ რადიოთი გადაცემული ინფორმაცია „სენსაცია“ კი არადა, სინამდვილე იყო.

თქვენ რას აკეთებდით ბატონო თადარიგის პოლკოვნიკო იმ დროს? განა შტაბის უფროსი ვალდებული არ იყო მიახლოებით მაინც სცოდნოდა, მოწინააღმდეგის ბანაკში რამდენი ბოევიკი იმყოფებოდა და მინდა გკითხოთ: კონტრდაზვერვა საერთოდ არსებობდა?

გაგრაში სამარცხვინოდ წაგებული ომის „გმირად“ თავი რომ გამოგყავთ, ყველაფერს აკეთებთ იმისათვის, რომ თქვენს გვერდით თუ თქვენს ზევით მდგარი სამხედროები დააკნინოთ.

უზნეობად მიმაჩნია, წაქცეულ კაცს უთავაზო წიხლი, ხოლო 70 წლისას, თქვენ, ვინაც ამ წლების ნახევარი გაიარეთ, თავს უფლებას აძლევთ „შენობით“ ელაპარაკოთ. ამ შემთხვევაში მხედველობაში მყავს ბატონი ჯაბა იოსელიანი, რომელსაც იმ დროს, როცა ის „იოსელიანობდა“, „უბატონოდ“ ხმას ვერ ცემდით, ახლა კი... თურმე ნუ იტყვით, „ჯაბა მეუბნებოდა: დათო, გავაკეთოთ რაღაც, ვქნათ რაღაცაო“... „მე ვუთხარი: თქვენ დაგეგმეთ და შევასრულებ-მეთქი. ვიცოდი რისი დამგეგმავიც იყო“. ასე რომ აქილიკებთ კაცს, ვის წინაშეც ტელეფონით ლაპარაკის დროსაც ფეხზე იდექით, არა გრცხვენიათ? ის დღე მაინც მოიგონეთ, თქვენთან, შტაბში რომ მოვედით ჯაბა იოსელიანი, გოგა ხაინდრავა, გივი კვანტალიანი და ამ წერილის ავტორი. ბატონმა ჯაბამ კატეგორიულად რომ მოითხოვა მამზიშხისა და აიბგის ხეობის საიმედოდ გადაკეტვა, საიდანაც კონფედერატთა ხროვა გადმოდიოდა. თქვენს პასუხზე: „არც ტყვიაწამალი და არც მეომრები გვყავს იმდენი, რომ ამ ხეობებს მოვუთაროთო“ ჯაბა იოსელიანი კი მუშტს ურტყამდა თქვენს საწერ მაგიდას ბატონო პოლკოვნიკო და თქვენ, მაშინ, გაფითრებული იდექით მის წინაშე, ვისაც ახლა ასე დასცინით... დასცინით კაცს, რომელიც, როგორც იტყვიან, თვრამეტი წლის ბიჭივით, წინ მიუძღოდა შეტევაზე გადასულ მეომრებს.

თქვენ თავს უფლებას აძლევთ „შეფასება“ მისცეთ ბატონ გია ყარყარაშვილს და ასკვნით: „როგორც მინისტრი, კიტოვანი ბევრად უკეთესი იყო, ვიდრე ყარყარაშვილი, ყარყარაშვილი უფრო მებრძოლი იყო, ასაკი თავისას შვრებოდა“...

შე კაი კაცო, ყარყარაშვილის ასაკი თუ „თავისას შვრებოდა“, რაო, თქვენი ასაკი და სამხედრო „დამსახურება“ შეეფერებოდა იმას, რომ 32 წლისამ პოლკოვნიკობა მიიღეთ და ისიც გაგრაში, სამარცხვინო ომის პერიოდში?

ჩემი აზრით, რაც შეეხება ყარყარაშვილს, ვისაც თქვენს ინტერვიუში „სამხედრო პოლიტიკურ ხედვას“ უწუნებთ — არც „სამხედრო პროფესიონალიზმი“ აკლდა და არც სამხედრო სტრატეგიაში“ ჩამოუვარდებოდა თანამედროვე სარდლებს.

მაგონდება 1992 წლის 3 ოქტომბრის შეხვედრა განთიადში, რომელსაც ბატონი ნოდარ ნათაძე ესწრებოდა. ბატონმა გიამ სამხედრო რუქა მოიტანა, გაანალიზა შექმნილი სიტუაცია და თქვა, რომ „ალყაში ვართ მოქცეულიო“. იქვე გადაწყვიტა მზვერავთა რაზმი გაეგზავნა მოწინააღმდეგეთა პოზიციების დასაზუსტებლად, რაზმი, რომელსაც ბატონმა გიამ თავისი საყვარელი ძმა გოჩა ჩაუყენა სათავეში. როცა მე ვეითხე „ხო არ ჯობდა მზვერავთა გაგზავნისაგან თავი შეგეკავებინა-მეთქი“, ბატონმა გიამ მიპასუხა: „ვიცი რა დღეშიაც ვართ, მაგრამ საბოლოოდ მინდა დავრწმუნდეთ, გოჩას კი მიტომ ვაგზავნი, ვინმემ არ დამწამოს ძმას უფრთხილდებაო“... გოჩა იმ დაზვერვის დროს დაიღუპა, იმ დღესვე ბატონი ნოდარ ნათაძეც დაიჭრა. და ორი დღე არ ვიცოდით სად იყო.

ბატონი გია ყარყარაშვილი, როგორც სარდალი, გამორჩეული იყო და მისმა არმიამ მარცხი თუ განიცადა, ჩემი ღრმა რწმენით, ამის მთავარი მიზეზი სხვა რამ იყო.

არ გჯერათ!? მაშინ, უპასუხეთ ასეთ შეკითხვას:

თქვენ ამბობთ: 200 ახალთახალი ავტომატი გამოგვიგზავნეს გაგრაში და დასძენთ, რომ დიდი ნაწილი მხედრიონმა წაგვართვაო. მაგრამ იმას როდი აღიარებთ, რომ ამ ავტომატების გაყიდვა სცადეს და მოსახლეობას მამასისიხლის ფასად სთავაზობდნენ. ვინ? ეს თქვენ, შტაბის უფროსმა უნდა იცოდეთ ბატონო პოლკოვნიკო. გაგრის ბატალიონის მეომრებმა სოფელ ალახაძეში მოკალათებული აფსუა სეპარატისტები და მათი დაქირავებული კონფედერატ ბანდიტები რომ დალაშქრეს და მეფრინველეობის ფაბრიკა გაათავისუფლეს, ვისი განკარგულებით გადააყენეს ამ ბატალიონის პირველი მეთაური გაგრელი სერგო გულორდავა „თვითნებური შეტევის“ ბრალდებით, ხოლო ომით მოგებული ტერიტორია სასწრაფოდ დაატოვებინეს ბრძოლის ჟინით ანთებულ ბიჭებს?!

თქვენ დაწერილებით აღწერთ მხედრიონთან ერთობლივ საბრძოლო ოპერაციის ეპიზოდს, როცა თქვენი სიტყვით რომ ვთქვათ, „ჯაბა იოსელიანს ვერ დაუტოვეთ ბრძოლის ველი“. და თვითონ გაუძეხით შეტევაზე გადასულ მეომრებს, რომლებმაც ბრძოლით გაიარეს წითელი ჯვარი და იფნარი. ბზიფამდე ხომ 600—700 მეტრიღა რჩებოდა. ბზიფის აღებით კი, როგორც თქვენ ამბობთ „აუადხარას გზა იკეტებოდა, საიდანაც კონფედე-

გაგრძელება მე-8 გვ.

საპროტესტო გვერდი

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიმართვა მკითხველებისადმი

ძვირფასო მკითხველო, გაზეთ „თვალთაი-ში“ გამოქვეყნდა მისი რედაქტორის ბ-ნ რევაზ ურუშაძის წერილი მყვირალა სათაურით „არ ენდოთ ამ ტიპს“ და ა.შ. ასე შემდეგ-მეთქი ვწერ, ვინაიდან წერილის ტექსტი ერთი გაბმული გინებაა ჩემი მისამართით.

საინტერესოა, რას წარმოადგენს ასეთს ჩემი მოკრძალებული პერსონა, „თვალთაის“ რედაქტორი მთელს საქართველოს რომ აფრთხილებს, არ ენდოთ ამ ტიპსო?

„რომელი მეფე ერეკლე მე ვარ, ანდა რომელი მსაჯული მისი?!“ იქნებ ქვეყნის საჭე მიპყრია ხელთ, იქნებ რაღაც დიდმნიშვნელოვანი სახელმწიფოებრივი საკითხების გადაწყვეტა შემიძლია და „გულმხურვალე პატრიოტი“ რ.ურუშაძე ამიტომაც ქვეყანას აფრთხილებს, თუ არ გინდათ დაიღუპოთ, არ ენდოთ ამ ტიპსო. აფერუმ მის წინდახედულებას, ერის გადარჩენა რომ განუზრახავს...

ძვირფასო მკითხველო, საქმე იმაში გახლავთ, რომ მე გახლავართ, არც მეტი არც ნაკლები, გაზეთების გამავრცელებელი, არსობის პურის მოსაპოვებლად თაკარა მზის ქვეშ მდგომი, ზაურ იობაია. ახლა თავად განსაჯეთ, რა უნდა დამეშავებინა ისეთი, რომ მთელი საქართველოს გასაგონად ეყვირა პატ. ურუშაძეს „არ ენდოთ ამ ტიპსო“.

საქმე ისაა, რომ მე ვიყავი „თვალთაის“ კომერციული დირექტორიც, მისი რედაქტორი კი ამ გაზეთის ფულების მითვისებას მაბრალებს. ჩვენ კი მისგან კაპიკიც არ გვინახავსო. ეს რომ ცილისწამებაა, ამის შესახებ დოკუმენტები წარვუდგინე გაზეთ „საქართველოს“ რედაქტორს ბ-ნ ნოდარ გრიგალაშვილს. მაგრამ ესეც არ არის მბავარი. ასეც რომ იყოს, ანუ მე რომ რ.ურუშაძე გამენაწყენებინა, განა ღირდა თავმოყვარე რედაქტორს მის თანამშრომელთან გაზეთით ერჩია საქმე და ათასობით მკითხველი შეეწუხებინა, რომელთაც მართლა პრობლემები აწუხებთ და დიდად არ უნდა აინტერესებდეთ, რომელ დილით, რომელ თანამშრომელს გაუბრაზდება რ- ურუშაძე?

არ ენდოთ ამ გაზეთს!

ის შემოპარულია ეროვნულ მოძრაობაში!!!

უფრთხილდით „ნასვდკას“

„რეგისტრირებულია“
ქ.თბილისის მთაწმინდის რ-ის
სასამართლოს გადაწყვეტილება
გადაწყვეტილების № 4/4-331
29 თებერვალი 1996წ.

მიღებულია
შეზღუდული პასუხისმგებლობის
საზოგადოება გაზეთ „თვალთაის“
საერთო კრების მიერ
ოქმი №1
„5“ თებერვალი 1996წ.

I ზოგადი დებულება

1.2. საზოგადოება შექმნილია საქართველოს რესპუბლიკაში არსებული საკანონმდებლო აქტების საფუძველზე ჯგუფის (შემდგომში პარტნიორები) მიერ.

1. რევაზ ურუშაძე დაბადებული 1929 წ. ქ. გორში, ჟურნალისტი, მცხოვრები ბახტრიონის ქ №26-ში

.....
.....
.....

5. პრეზიდენტის სახელმწიფო უზრუნველყოფის იურიდიული სამმართველო, ქ.თბილისი, რუსთაველის პრ.30. ტ. 93-14-99

მიმართვა ბატონ ნოდარ გრიგალაშვილს

ბატონო ნოდარ, მოგმართავთ, სწორედ თქვენ, ორი მიზეზის გამო

1. წერილი, რომელშიც დაწვრილებით აღვწერ გაზეთ „თვალთაის“ რედაქტორის ხრიკებს და იმ ცილისწამებას, რომელიც მან ფინანსებთან დაკავშირებით წამომიყენა, სწორედ თქვენს რედაქციაში მოვიტანე კარგა ხნის წინათ. თქვენ ეს წერილი არ გამომიქვეყნეთ იმ მოტივით, რომ „თვალთაის“ რედაქციის ორი თანამშრომლის დაპირისპირებაში ფართო საზოგადოებისათვის ყურადღების ღირსს ვერაფერს ვხედავ, თქვენი შინაური საქმე თქვენ თვითონ მოაგვარეთო. მე მივიღე ეს არგუმენტი, მაგრამ მაინც გწერთ მეორე წერილს და აი, რატომ:

2. თქვენ, ბატონო ნოდარ, ბრძანდებით ჰეშმარიტი ეროვნული მოძრაობის გულშემატკივარი და, ვფიქრობ, გულგრილი ვერ დარჩებით იმ ფაქტისადმი, რასაც ქვემოთ დავწერ და რასაც საზოგადო მნიშვნელობა გააჩნია. დავიწყებ ცოტა შორიდან. მე გახლავართ შეხედულებით „ზვიადისტი“. ვიყავი და ვარ მოკრძალებული, რიგითი წევრი ეროვნული მოძრაობისა. არ ვცნობ ამ ხელისუფლების კანონიერებას და მიმაჩნია იგი მხოლოდ ფაქტობრივ და არა იურიდიულად კანონიერ ხელისუფლებად.

ასეთივე შეხედულებისა მეგონა გაზეთი „თვალთაი“ და მისი რედაქტორი რ.ურუშაძე, მაგრამ ვნახე ისეთი დოკუმენტი, რომლის ხილვისას თმა ყალყზე დამიდგა.

ამ დოკუმენტის მიხედვით „თვალთაის“ რედაქტორი განსაზღვრული მისიით შემოპარულია ეროვნულ მოძრაობაში, სამწუხაროდ, იგი არ არის გაშიფრული ყველასათვის. კერძოდ, მხედველობაში მაქვს შემდეგი. ცნობილია, რომ ეროვნული მოძრაობა გათიშულია რამდენიმე ნაწილად, რაც ხელს აძლევს არსებულ ხელისუფლებას.

თქვენმა გაზეთმა წამოიწყო ერის გამთლიანებისთვის საჭირო ღონისძიებები.

თქვენ გამოაქვეყნეთ ტექსტი, რომლის ხელმომწერები, ცალკეული პარტიების ლიდერები თავზე იღებენ თავის წილ პასუხისმგებლობას დეკემბერ-იანვრის მოვლენების გამო. ამ ტექსტს ჰქონდა სარედაქციო წინასიტყვა მონანიების სათაურით. ნაცვლად იმისა, რომ „შეურიგებლებს“ ეს გახარებოდათ და საერთო შერიგებისკენ მათაც გადმოედგათ ნაბიჯი, „ჰეშმარიტი ეროვნული მოძრაობის“ გაზეთმა „თვალთაიმ“ ამ ტექსტზე გადაიარა-გადმოიარა. იმჟამად მე ვერ მივხვდი, რატომ სჩადიოდა გაზეთი და არა ავტორი (რომელიც შეიძლება გულწრფელად ფიქრობდეს ისე, როგორც წერს) ამას. მაგრამ ახლა ჩემთვის ყველაფერი ნათელია, ახლა ნათელია, თუ ფაქტობრივი ხელისუფლების ლანძღვასთან ერთად, რატომ ლანძღავს ეს გაზეთი განსაკუთრებული გულმოდგინეობით ეროვნული მოძრაობის წარმომადგენლებს. საქმე ისაა, რომ ჩემი ვარაუდით, მის რედაქტორს შემდეგი მისია აკისრია. უნდა ლანძღოს ხელისუფლება, რათა ზვიადისტების მხარდაჭერა ჰქონდეს, მაგრამ პარალელურად უფრო მეტად უნდა აქიაქოს ის ეროვნული ძალები, რომელთანაც დაპირისპირება ჰქონდათ ზვიადის მომხრეებს, რათა არამცდაარამც არ მოხდეს მთელი მოძრაობის შერიგება და გამთლიანება. ამ ვარაუდის საფუძველს მაძლევს გაზეთის პუბლიკაციები და რაც მთავარია ის დოკუმენტი, რომელიც ზემოთ ვახსენე.

რა არის ეს დოკუმენტი? — აი, რა.

გაზეთი „თვალთაის“ ერთ-ერთი დამფუძნებელი მის რედაქტორ რ.ურუშაძესთან ერთად ყოფილა პრეზიდენტის, ბატონ ე. შევარდნაძის იურიდიული სამსახური.

ახლა მკითხველმა განსაჯოს, არის თუ არა სენსაციური ის ფაქტი, რომ გაზეთი, რომელიც არსებულ ხელისუფლებას უკანონოდ აცხადებს, დაფუძნებულია თვით ამ ხელისუფლების მიერ. ახლა მკითხველმა განსაჯოს, ვინ არის ეს რევაზ ურუშაძე თავისი გაზეთითურთ და რა მისია აქვს მას შეკვეთილი?

პატივისცემით
ზაურ იობაია

აბიტურიენტებისა და მე-11 კლასელთათვის

გალაკტიონ ტაბიძის „მთაწმინდის მთვარე“

განხილვა

ნოდარ გრიგალაშვილი

გალაკტიონ ტაბიძეს აქვს ერთი მცირე ჩანაწერი, ასეთი სათაურით — „საკუთარი ლექსების შესახებ“. საძღუხაროა, რომ ეს ჩანაწერი ერთობ მცირეა და მასში მხოლოდ რამდენიმე ნაწარმოების შესახებ გამოთქვამს პოეტი აზრს, თუმცა თვით „მთაწმინდის მთვარეზე“, სხვა ლექსებთან შედარებით, ვრცლად საუბრობს.

ალბათ, თქვენთვის საინტერესო უნდა იყოს გალაკტიონის აზრი საკუთარი ლექსის შესახებ. გთავაზობთ მას სრულად: „რომ მეფე ვარ და პოეტი“ — მქონდა ასეთი ფრაზა „მთაწმინდის მთვარეში“. ეს ლექსი („მთაწმინდის მთვარე“) მიუხედავად იმისა, რომ ძალიან პოპულარულია, საკმარისად შესწავლილი არ არის, როგორც ერთ-ერთი გასაღებთაგანი ჩემის შემოქმედებისა. ამ ლექსში უსათუოდ სჩანს პოეტი, რომელიც თავის შემოქმედებას უკავშირებს მეცხრამეტე საუკუნის პოეზიის კორიფეების შემოქმედებას, აცხადებს რა თავის თავს ნიკოლოზ ბარათაშვილის და აკაკი წერეთელის პოეზიის მემკვიდრედ. აქ მთვარის შუქში გახვეული მსუბუქ სიზმარივით მოსჩანს მტკვარი და მეტეხი... აქ, ახალგაზრდა პოეტის ახლო, სძინავს მოხუცი პოეტის ლანდს, აკაკი წერეთლის ლანდს. ბარათაშვილსაც ხომ აქ უყვარდა ობლად სიარული, ილია ჭავჭავაძესაც, დიმიტრი ყიფიანსაც და აქ ამბობს პოეტი: „და მეც მოვკვდე სიმღერებში ტბის სევდიან გედად“ (ლირიკის კონცეპცია), „ოღონდ ვთქვა“ თუ ღამემ სულში როგორ ჩაიხედა (კავშირი ბუნებასა და ადამიანის სულს შორის), „თუ სიზმარმა“ ვით შეისხა ციდან ცამდე ფრთები (ძალა აღმაფრენის, პოეზიის, რომანტიზმის), „და გაშალა ოცნებათა ლურჯი იალქნები“ (რომანტიზმი ლურჯის, ცისფერი ოცნების). იალქნები ზღვაზე, სულიც აღზრდილია ამ ზღვაზე, ცხოვრების ზღვაზე, „სიცოცხლის ზღვაზე“, რომელზედაც ლურჯი იალქნების გზა მიდის, თვით სიკვდილის გზაც არაფერია მასთან შედარებით. ამ სიცოცხლესთან შედარებით და თვით სიკვდილის გზაც კი ვარდისფერია და არა საშინელი, საშიშარი (რენიეს თქმით, მოულოდნელი განცვიფრება ვარდისფერისა და შავი ფერის შეხვედრისაგან“), რომ ამ გზაზე (სწორედ ვარდისფერ გზაზე) მგოსანთ სითამამე, გაბედული ხმა არის. სინამდვილეზე უფრო მეტი სინამდვილე — ჰიპერბოლური, ზღაპრული, „რომ მეფე ვარ და პოეტი და სიმღერით ვკვდები“.

ცოტა ქვემოთ პოეტი განსაზღვრავს: „მთაწმინდის მთვარე“ ჩემი პროგრამული ლექსია, რომელიც კონკრეტულად ასახავს ჩემს დამოკიდებულებას კულტურული მემკვიდრეობისადმი (ბარათაშვილი, აკაკი, მე).

ალბათ, დამეთანხმებით, გალაკტიონი ზუსტ დეფინიციას გვაძლევს იმ საკითხებისას, რაც „მთაწმინდის მთვარეშია“ განფენილი. პოეტი ცნებების ენით საუბრობს იმაზე, რასაც ლექსში სახეებით გამოხატავს.

როგორც ვნახეთ, ეს საკითხები ფორმულირებულია ასე:

1. პოეტი თავის პოეზიას უკავშირებს მეცხრამეტე საუკუნის კორიფეების შემოქმედებას.

თუ რატომ არის ეს ხაზგასმული ჯერ ლექსში და შემდეგ „ავტორეცენზიაში“, ნათელი გახდება მას შემდეგ, როდესაც მე-20 საუკუნის 10-იანი წლების ლიტერატურულ პანორამას წარმოვიდგენთ.

მე-20 საუკუნის დასაწყისში ქართულ პოეზიაში ილია ჭავჭავაძისა და აკაკი წერეთლის გავლენა მძვინვარებდა. ახალბედა პოეტები ბაძავდნენ აკაკის ან ილიას და პოეზია ეპიგონობის ნიაღვარმა წალეკა. რამდენადაც მომხიბვლელია ორიგინალი, რამდენადაც დიდი ესთეტიკური ზემოქმედების ძალა აქვს მე-19 საუკუნის რჩეულ მგოსანთა შემოქმედებას, იმდენადვე მოსაწყენია მიმბაძველთა ყღურტული. ტიციან ტაბიძე წერს ერთგან, ვულკანი ერთხელ ამოაფრქვევს, შემდეგ კი მთის დამშვიდებულ კალთებზე ცხვრის ფარები სძოვენო. ასეთი სურათი იყო მე-20 საუკუნის დასაწყისის ქართულ პოეზიაშიც. კაჟას, აკაკის ილიას უკვე ნათქვამი ჰქოხდათ ვისი სიტყვა, უკვე ამოფრქვეული იყო მათი შემოქმედებითი გენია, ახლა კი მათ ნასუფრალზე მშვიდად იცოხნებოდნენ ეპიგონები.

ამ გარემოებამ 10-იანი წლების ლიტერატურულ ცხოვრებაში მე-19 საუკუნის მემკვიდრეობისადმი უკურეაქცია გამოიწვია. ცისფერყანწელთა ნიჰილი თაობა, საკუთარი თავის დასამკვიდრებლად დაადგა უარყოფის გზას. მათ განიზრახეს ქართული ლექსის განახლება და „ევროპული რადიუსით გამართვა“. თავს აცხადებდნენ ფრანგი სიმბოლისტების — ბოდლერის, ვერლენის, რემბოს, მალარმეს მემკვიდრეებად. ეს ყმაწვილკაცურ ასაკში მოსახდელი სენი იყო.

მე-19 საუკუნის ლირიკაში ახალი თაობა ცნობს მხოლოდ ბარათაშვილსა და ვაჟას. სხვა პოეტებთან ლექსის კასტრაციას ხედავენ. აი, რას წერდა ახალგაზრდა დემნა შენგელაია: „ვეფხისტყაოსნის“ უნაზეს აკვნესებიდან საქართველო კერესელიძის „ციესკრამდის“ მივიდა, სადაც გულმოდგინედ სწავლობდნენ კომბოსტოს დამჟავებას და ბოზბაშის კეთებას.

შემდეგ ილუზია ლიტერატურული რევოლუციისა.

თერგდალეულთა პოეზია.

კეთილშობილური გაქანება მოქალაქეობრივ მოტივებში და კასტრაცია პოეზიისა.

ბანკობია და აპელაცია.

კრილოვის იგავ-არაკები და თავის გარბობა.

და ასე უდაბნოება და უდაბნოება... ერთი სიტყვით, ის ვითარებაა შექმნილი, როცა იტყვიან „კაცს დედა დავიწყებოდა და დედინაცვლის მზეს ფიცულობდაო“.

წარსულისადმი ახალგაზრდა შემოქმედთა ამდაგვარი მიმართების შემდეგ უფრო მნიშვნელოვანი ხდება გალაკტიონის განცხადება: „პოეტი თავის პოეზიას უკავშირებს მე-19 საუკუნის კორიფეების შემოქმედებას“.

იმის მიუხედავად, რომ გალაკტიონმა ყველაზე მეტი სიახლე მოიტანა უახლეს ქართულ პოეზიაში, იგი მაინც არ თვლიდა, რომ სამყარო მისით იწყებოდა და თავდებოდა. მან კარგად უწყოდა, რომ დიდი ადამიანების მხრებზე იდგა.

ჰეშმარიტი კულტურა სწორედ ტრადიციებზე დაყრდნობილი ნოვატორობით იწყება და არა წარსულისადმი ნიჰილისტური დამოკიდებულებით. გალაკტიონი გაღიზიანებული წერდა: „ეს პოეტის „მე“-ა, რომ ასე ღუპავს საერთო საქმეს, ვის რად უნდა ცარიელი რახუნი? ვის სჭირდება ხმაურობის ატეხა ამის გამო, რომ „პოეზია იწყება მისით და თავდება მისით?“

როდესაც მასა არ იღებს ასეთ პოეტს, იგი ერთ ყოფას დაათევს, აქაო და, შეხედეთ, როგორ მჩაგრავენო. სწორედ ამაზეა ნათქვამი, იხმაურეს და საქმე კი ვერ გააკეთესო. ვილაცას ალბათ სჭირდება ასეთი ამბავი, ნამდვილ პოეტს კი არასოდეს.

ჩვენი საქმე ნათელია, ვერავინ ღღეს ვერ იტყვიას: მინდა სიმღერის წამოწყება, მაგრამ არ ვიცი საიდან დავიწყო, როგორ მოვაბა თავი. სიმღერა დიდი ხანია წამოწყებულია, საჭიროა მხოლოდ მივყვეთ, ხმა ავაყოლოთ, საერთო ხორო შევქმნათ. ყველა უნდა ცდილობდეს საერთო ხოროში გამოსვლას, მაგრამ აქ საჭიროა არა ხრინწიანი ხმა, რომელიც არევს სიმღერას“.

ეს არის პოეტის გაკვეთილი, მისი მრწამსი, რაც „მთაწმინდის მთვარეში“. როგორც უკვე ითქვა, ლირიკის ენაზეა თქმული.

„აქ ჩემს ახლოს მოხუცის ლანდს
სძინავს მეფურ ძილით,
აქ მწუხარე სასაფლაოს ვარდით
და გვირილით,
ეფინება ვარსკვლავების კრთომა
მხიარული...
ბარათაშვილს აქ უყვარდა ობლად
სიარული.
და მეც მოვკვდე სიმღერებში
ტბის სევდიან გედად.
ოღონდ ვთქვა, თუ ღამემ სულში
როგორ ჩაიხედა,
თუ სიზმარმა ვით შეისხა ციდან
ცამდე ფრთები,
და გაშალა ოცნებათა ლურჯი
იალქნები“.

უკეთუ პოეტი მთაწმინდის უკვდავთა სავანის მკვიდრთა დარად იტყვის „ღამემ სულში როგორ ჩაიხედა“, „თუ სიზმარმა ვით შეისხა ციდან ცამდე ფრთები და გაშალა ოცნებათა ლურჯი იალქნები“, ანუ დიდი პოეზიის ენაზე ალაპარაკდება, მაშინ წაჰყვება საუკუნეს მისი ქნარიც. აქედან გამომდინარე, ლექსში შემოდის მეორე თემა, რაც გალაკტიონის მიერ ფორმულირებულია ასე — „ძალა აღმაფრენის, პოეზიის, რომანტიზმის“.

ახლა გავიხსენოთ პოეტის სიტყვები, „მთაწმინდის მთვარე“ ჩემი საპროგრამო ლექსიაო.

რა თვალსაზრისით შეიძლება ეს ლექსი საპროგრამო იყოს? ე.წ. საპროგრამო ლექსებს ქართულ პოეზიაში ხშირად შეეხვდებით. მარტო ილია ჭავჭავაძის „პოეტი“ რად ღირს, სადაც ილია აცხადებს: „ღმერთთან მისთვის ვლაპარაკობ, რომ წარვუძღვე წინა ერსა“.

რას გულისხმობს ეს სტრიქონები? ილიასათვის პოეზია (ღმერთთან ლაპარაკი) საშუალებაა, რომ ერს ემსახუროს. პოეტი საპროგრამო ლექსით თავის მოქალაქეობრივ მიზანს, კრედოს განსაზღვრავს.

გალაკტიონისათვის პოეზია (ღმერთთან ლაპარაკი) პიროვნული ხსნის საშუალებაა, უფრო სწორად, საშუალება კი არა, არსებობის ფორმაა. მისი ცნობილი სტრიქონი „პოეზია უპირველეს ყოვლისა“, გულისხმობს არა მხოლოდ იმას, რომ გალაკტიონისათვის ხელოვნების სხვა დარგებს შორის პოეზია უპირველესია, არამედ იმასაც, რომ არსებულ საგნებსა და მოვლენებში უნდა ვხედავდეთ **პოეზიას უპირველეს ყოვლისა!** ჩვენი ცხოვრების წესი განსაზღვრული უნდა იყოს **პოეზიით უპირველეს ყოვლისა!**

გალაკტიონს სწამს და ამდენად, ხედავს კიდევ გამოგონილ სამყაროს, სინამდვილეზე უფრო მეტ სინამდვილეს.

„ლურჯა ცხენებით“ პოეტმა ეკლესიასტეს დამთრგუნველი სიბრძნე გადმოსცა: „ამაოება ამაოებათა და ყოველივე ამაო“, რომ წუთისოფელიცა და მარადიული სოფელიც არარაობაა. ნუთუ ღვთისაგან შექმნილ ქვეყანაში არაფერი შეიძლება იყოს წარუვალობის ნიშნით აღბეჭდილი? ამის პასუხია „მთაწმინდის მთვარე“, ამის პასუხია სტრიქონები ლექსიდან „რომ წაჰყვება საუკუნეს თქვენთან ჩემი ქნარი“, რომ პოეზიის მეტყველი სულისთვის „სიკვდილის გზა არრა არის ვარდისფერ გზის გარდა“. ახლა წარმოიდგინეთ კაცი, რომელმაც სიცოცხლის საყრდენი ღერძი მოძებნა, რომელიც მიხვდა, რომ ამ სასიცოცხლო ღერძს ეყრდნობოდნენ წინამავალი დიდი შემოქმედნი და ღვთითბოძებული ნიჭიერების გარდა ამითაც გახდნენ ისინი გამორჩეულნი. ახლა ისიც წარმოიდგინეთ, რომ ეს კაცი ორგანულად გრძნობს მათთან გონებრივ და სულიერ სიახლოვეს, თავს გრძნობს მათ ტოლ-სწორად. სწორედ ამ აღმოჩენის სიხარულია ხორცშესხმული ლექსში.

გ.ტაბიძისათვის პოეზია არის ის, რაც თევზისთვის წყალი, რაც ადამიანისათვის ჰაერი. თუ თევზს წყლიდან ამოვაგდებთ, ვერ იცოცხლებს, ადამიანი უეჭველად სულს ღაფავს, სწორედ ასევე, სულიერი ცხოვრების ელექსირად გალაკტიონი პოეზიას, რომანტიზმს, აღმაფრენის ნიჭს მიიჩნევს. ხოლო ამ ნიჭის გარეშე, ადამიანი არსებობს თავისი უბადრუკი ცხოვრებით, მერე მოდის სიკვდილი მთელი თავისი საშინელებით. აი, პოეზიაა ერთადერთი, რასაც შეუძლია შექმნას სინამდვილეზე უფრო მეტი სინ[illegible].

პოეზიაა ერთადერთი, რაც სიკვდილის საშინელ გზას აქცევს ვარდისფერ გზად, ანუ საუკუნო ქნარის მფლობელს არც სიცოცხლის, არც სიკვდილის არ ეშინია.

პოეზიის ძალმოსილების შეგრძნება და საკუთარ თავში დიდი პოეტური ენერგიის აღმოჩენა, პოეტს იმის დაუფარავ სიხარულს განაცდევინებს, თუ როგორ გრძნობს, რომ სულისთვის, ამ ზღვამ რომ აღზარდა, სიკვდილის გზა არრა არის ვარდისფერ გზის გარდა“.

ჩვენთვის, ჩვეულებრივ მოკვდავთათვის, არ არის ადვილი ამ სტრიქონების სისხლხორცეული განცდა. პოეტი გრძნობს, რომ მთელი სამყარო მასშია და სამყაროშია მისი სული განფენილი. ეს ღმერთკაცის განცდაა, ამაოებაზე ამაღლებული ადამიანის სიხარულია, ამიტომაც ეჩვენება პოეტს ასეთი შეგრძნების წამს, რომ „ჯერ არასდროს არ შობილა მთვარე ასე წყნარი“. ამიტომ წერს: „ასე ჩუმი, ასე ნაზი ჯერ ცა მე არ მახსოვს“. სამყარო, თითქოს, ხელახლა იბადება მის თვალში და ხელახლა იბადება თავადაც, ისე, როგორც უკვდავებასთან ნაზიარები ზღაპრული მინდია.

ვაჟა ფშაველას მინდიას სმენაც ჰქონდა და ხედვაც, მაგრამ როცა ღვთაებრივ სიბრძნესთან წილნაყარი გახდა, ვაჟა იტყვის: „გულის ხედვა და თვალების, როგორც, ბრმას და ყრუს გაეხსნა“.

წარმოიდგინეთ სწორედ ასეთი, ერთ მშვენიერ ღამით სხვა სმენისა და სხვა ხედვის ღმერთკაცად გარდასახული პოეტი, რომელიც ხედავს „სიზმრებს არაჩვენებურს“, რომელიც ხედავს ჩვეულებრივში არაჩვეულებრივს, რომელმაც იპოვა ის საყრდენი, საიდანაც მაღლით გადმოჰყურებს ამაოების ბაზარს და საცნაური გახდება მისი სიტყვები — „რომ მეფე ვარ და მგოსანი და სიმღერით ვკვდები“...

გაგრძელება იქნება

იუმორის გვერდი — წუთიშესვენება

არც რა მიშველა ტირილმა,
არცა ცრემლების დენამა,
მიშველა ისევ სიცილმა,
ლაქარდიანმა ენამა.

გიგო ზურაბიჩის საათი

საკმაოდ დიდი ხნის წინ იყო ეს. გიგა ლორთქიფანიძემ დადგა სპექტაკლი „უფსკრულთან". ძალიან კარგი დადგმა იყო, ყველა მონაწილეობდა: სესილია თაყაიშვილი, შალვა ღამბაშიძე, კაკო კვანტალიანი, ვახტანგ ნინუა, მე, შაქრო გომელაური და მათ შორის პიერ კობახიძე, რომელიც მთავარ როლს თამაშობდა. პიერი ასრულებდა კრიმინალურ პიროვნებას, ჩვენ მეგობრები ვიყავით მისი, შაქრო გომელაური, უფროს მეგობარს სომეხ გიგო ზურაბიჩს თამაშობდა, ახალგაზრდა მეგობარი იყო ვახტანგ ნინუა, მე ვთამაშობდი, ასე ვთქვათ, ინტელიგენტ აფერისტს. ჰოდა, მოკლედ, მოხდა ასეთი ამბავი, შაქრო გომელაურს ჰქონდა ერთი საათი, კარგი ჯიბის საათი და სცენაზე ამ საათით გამოდიოდა. მე ვეუბნებოდი, შაქრო, რად გინდა ეს საათი, ჩაიდე ბუტაფორიული საათი. მაყურებელი მოდის და გისინჯავს თუ რაშია საქმე-მეთქი. არა, ამას თავისი პეწი აქვსო, და გახსნა, მერე დაკეტა საათი და ჯიბეში ჩაიდო. მოკლედ, დაიწყო სპექტაკლი. აქ არის სცენა ქეიფის, როცა მოსკოვში ვისტუმრებთ პიერის გმირს, ავწევთ სასმისს და ვმღერით: „წასვლა სჯობს წარმავალისა"... მე ჩუმად ამოვაცალე საათი. ამ დროს ჩაქრა სინათლე, ჩაბნელდა სცენა. შაქრომ უცებ აღმოაჩინა, რომ საათი არა აქვს. საათი, საათი. ატყდა ერთი ამბავი. მე ჩუმად ვუთხარი ბატონ პიერს, რომ მე ამოვაცალე-მეთქი. ოჰ, აგაშენა ღმერთმაო და მიუბრუნდა შაქროს. ხომ გითხარი, ბუტაფორიული საათით გადი სცენაზე-მეთქი. მე ამოგაცალე საათიო, უთხრა და დაუბრუნა. ახლა, მეორე სპექტაკლია, ისევ მოვიდა ის სცენა, როცა ვმღერივართ, „წასვლა სჯობს წარმავალისა"... და შაქრო უყურებს პიერს ხელებში, ელის, რომ ისევ ამოაცლის საათს, მე აბსოლუტურად თავისუფალი ვარ, რასაც მინდა, იმას გავაკეთებ. ყურადღება პიერისკენაა. ამასობაში ჩაქრა სინათლე და საათი!.. იყვირა ისევ შაქრომ. მერე ისევ. მესამედ გავუკეთეთ. იქამდე იყო მისული, რომ სცენაზე პიერის ხელებს თვალს არ აშორებდა, და პიერი ამ დროს ხელებს იქნევდა ისეთნაირად, რომ გზაკვალი აერია შაქროს და მოკლედ, მესამედაც ამოვაცალე. გადარეული იყო, როდის იღებ საათსო. მერე გამოვუტყდი, მე ვიყავი-მეთქი. არა გრცხვენია, გოგი, შენგან არ ველოდი ამასო.

ვახტანგ ნინუას მეცო სოპრანო

იქვე, იმავე სპექტაკლში მოხდა ისევ ის, რასაც ახლა მოვყვები. პიერ კობახიძეს უყვარდა სცენაზე ასეთი ხუმრობები, საერთოდ, სადაც მაყურებელი ვერ შეამჩნევდა, რა თქმა უნდა. ჰოდა, ერთ დღესაც მეუბნება ასეთ რაღაცას. სიმღერას „წასვლა სჯობს", იწყებდა ხოლმე ვახტანგ ნინუა. ხან მაღალი ტონი გამოსდიოდა, ხან დაბალი. ერთხელაც დამიძახა გიგამ და მითხრა, გოგი, შენ მიეცი მაგას ტონალობაო და მერე გააგრძელოს ვახტანგმაო. დაბლა იწყებდა, ბანი იკარგებოდა ასეთ დროს, მაღლა თუ დაიწყებდა, პირველი არ იყო ლამაზი. ნინუა თამაშობს ვაჟკაცს, აეჰ, ხალათი აქვს ჩაცმული და ოჰოჰო! როხროხებს, აბა წავიდეთ, წავიდეთ, წასვლის სადღეგრძელო დავლიოთ, და იწყებს ამ სიმღერას. ჰოდა, პიერმა ამასთან დაკავშირებით გამაფრთხილა, რომ ძალიან მაღალი ტონი მიეციო. მე ვუთხარი, არა პიერ, ბატონი შალვა ღამბაშიძე ზის დარბაზში, სირცხვილია-მეთქი. მე ვარ პასუხისმგებელიო. თურმე შალვაც გაფრთხილებული ყოფილა. მეც ავდექი და როცა ნინუა იქ ვაჟკაცობს, აბა, ბიჭებო!... აროხროხდა, მე მივეცი ძალიან მაღალი ტონი, და იკივლა ნინუამაც, დაიწყო სიცილი დარბაზმა, კი არ მღეროდა, მგონი მეცო სოპრანო იკივლა. მერე მისაყვედურა, რა მოხდაო. მე ვუთხარი, შემეშალა ვახტანგ, შენ სულ გეშლება, მე ერთხელ შემეშალა-მეთქი. ბოლოს გავუმხილეთ, რასაკვირველია.

ხელოვანის ღიმილი

მარჯანიშვილის თეატრის მსახიობი გოგი გელოვანი



მიკიტნის ყოჩი

მახსოვს, „ქეთო და კოტეს" გადაღება იყო. ხომ გახსოვთ ის სცენა, ყარაჩოღელები ქეთოს ეზოში რომ უნდა შევიდნენ და სერენადას სცენა გამართონ „გინდ მეძინოს"... მანამდე კი ყარაჩოღელები მოვდივართ სიმღერით „ჰარი-ჰარალე", ჰოდა, ამ სცენისთვის რეჟისორმა ვახტანგ ტაბლიაშვილმა მოითხოვა, რომ ყოჩი მოეყვანათ. მაშინ შემორჩენილი იყო, ავლაბარში და სხვა ძველ უბნებში თითო-ოროლას ყოჩები ჰყავდათ და აჩხუბებდნენ ხოლმე ხან ნიძლავზე, ფულზე და ა.შ. ეს ყოჩები ისე იყვნენ გამოწრთობილნი, რომ სულ ჩხუბზე და რქენაზე იყვნენ გადასული. მოკლედ, მოიყვანეს ყოჩი, თანაც ძალიან მაგარი ყოჩი. ისიც სულ რქენაზე იყო. მივედით ამ ყოჩთან, სერგო წაგვიძღვა, ზაქარიაძე, ყოჩი თოკით იყო ლოდზე შემოხვეული. მივიდა თუ არა სერგო, რქებით ეძგერა გვერდში. სერგო ძალიან ლონიერი იყო ფიზიკურად, უკან დაიხია, კიდევ ეძგერა ყოჩი. ამ დროს რქებში სწვდა ზაქარიაძე და შეაჩერა როგორღაც. მოკლედ, ატყდა ერთი ამბავი, არ გვინდა ყოჩი, რად გვინდა ყოჩი, არა, ლამაზია, გვედავებოდა რეჟისორი. ბოლოს დაიბადა იდეა,

მოდი, პატრონს ჩავაცვათ, გავგრიმოთ და ისე ვათამაშოთო. პატრონი ერთი პატარა, ლიპიანი მიკიტანი იყო. ჩავაცვით, წვერი გავუკეთეთ, ქუდი დავახურეთ. მასაც გაუხარდა, ფილმში გადაიღებდნენ, თან ფულს აიღებდა. ჰოდა, მივიდა, მაგრამ ვერ იცნო თავისმა ყოჩმა, ჰკრა რქები და დააგორა საწყალი ფერდობზე. გაგიჟდა საწყალი კაცი, არც თქვენი ფული მინდა, არც თქვენი გადაღებაო. ბოლოს ისევ სერგომ გაბედა და წამოიყვანა ეს ყოჩი.

გოგი გელოვანის ქალები (გაგრძელება)

თქვენი **გაზეთის ადრინდელ ნომერში ამირან ბუაძის მონათხრობში ჩვენი ლენინგრადული ისტორიაა მოყოლილი. იმას მინდა დავამატო. მაშინ, როცა იმ ქალებთან ვრეკავდი, ზოგი ხომ გარდაცვლილი აღმოჩნდა. მათ გვარებს შავი ფანქარი გავუსვი. ერთზე მითხრეს, რომ ავად არისო. შემოვხაზე წითელი ფანქრით, ზოგი, სხვათაშორის, მწვანე ფანქრითაც შემოვხაზეთ, ვისთანაც შანსი გვქონდა შეხვედრის. მერე ამ წითელხაზგასმულთან რამოდენიმე დღის შემდეგ კიდევ დავრეკე და გარდაიცვალაო, მითხრეს. აუჰ, შევწუხდი, კარგად ვიცნობდი მასაც, მის ოჯახსაც. ამ სიტუაციას ბატონი ვასო გოძიაშვილიც შეესწრო და მკითხა, რითი გარდაიცვალაო, რა დიაგნოზი ჰქონდაო. მე ვუთხარი, სმა უყვარდა საწყალს-მეთქი. ვაჰ, „ბელაია გარიაჩკას" ფსიქიატრიულში იწვაო? არა, კარდიოლოგიურში-მეთქი. მოკლედ, ბ-ნ ვასოს იდეა ჰქონდა, მე, იაშა ტრიპოლსკის და ამირან ბუაძეს საღამოს ერთად უნდა მოგველხინა, ჰოდა, მე ვუთხარი, მოდით, გავიაროთ პანაშვიდზე, მარტო მისვლა მაინც არ მინდა, მერე იქ თქვენ საათზე დაიხედეთ და რეპეტიციაზე წამოსვლა შემახსენეთ და გამოვიაროთ, რაღაცეები ვიყიდოთ და ჩავუსხდეთ-მეთქი. ამირანამ არც იცოდა, პანაშვიდზე რომ მივდიოდით, ავედით. დამხვდა იქ მილიონი ნაცნობი. Княз Геловани пришел (იქ ასე მიცნობდნენ, სახელით არავინ არ მიცნობდა). მთელმა ხალხმა მე შემომხედა. მომტირალი მეგობარი კი განაგრძობდა: Гоги, поцелуй ее!.. მე საერთოდ მკვდრისკენ მიხედვაც კი არ შემიძლია და ვიფიქრე, დავიღუპე, რა ვქნა-მეთქი. მაგრამ მოვისაზრე და თვითონ მის მეგობარს, ვინც ეს მითხრა, მივედი და ვაკოცე. Ни меня!!. იკივლა ამ ქალმა. ოოჰ, შევცბი ვითომ. აღარ ვიცი, რა ვქნა და ამ დროს მოვიკიდე თავზე ხელი, მომიტანეს წყალი, ვითომ ცუდად გავხდი და, ამ დроს ჩემი მეგობრები: „Гоги, у нас репетиция"... ოოჰ, წამოვხტი, დავემშვიდობე და წამოვედით, ამირანი გაგიჟებული იყო, ვერაფრით ვერ გაეგო, რა ხდებოდა, გაოგნებული იყო. წამოვედით იქიდან, ჩავსხედით ჩვენთან ნომერში და მშვენიერი საღამო გამოგვივიდა.**

მოამზადა
ლელა კოდალაშვილმა.



მეოთხე გვერდიდან

აფხაზეთის გასაღები გაგრაში კი არა, თბილისში ბ-ნ ედუარდ შევარდნაძეს ედო ჯიბეში

რატები გადმოდიოდნენ გუდაუთისკენო“... და აქვე სვამთ წერტილს. მოუთხრობთ იმის შესახებ, თუ როგორ გაგიარათ „სნაიპერის ნასროლმა ტყვიამ მარცხენა საფეთქლის ოდნავ ქვემოთ“... მაგრამ არაფერს ამბობთ იმის თაობაზე, თუ ვისი ბრძანებით დატოვეთ ბრძოლით მოგებული ტერიტორია. ვინ ჩაშალა ბზიფის აღების გეგმა? ვინ გააწბილა იმ დღეს ბრძოლის ჟინით ანთებული 200 სვანი, რომლებიც ბზიფში გელოდებოდათ და მზად იყვნენ ზურგში ლახვარი ჩაეცათ მოწინააღმდეგისათვის. ინტერვიუში თქვენ წუწუნებთ იმის თაობაზე, რომ კოლხიდის მისადგომებთან ბოევიკთა სვლის საწინააღმდეგ ... ჩაწყობილი ნაღმები არ აფეთქდა და ამიტომაც მოწინააღმდეგემ ადვილად შემოაღწია გაგრაში. ცნობისათვის: (შეგიძლიათ გადაამოწმოთ ბატონ გივი კვანტალიანთან) არა მარტო კოლხიდის მისადგომები, არამედ განთიადამდე იყო დანაღმული გზა, მაგრამ არცერთი მათგანი არ აფეთქდა. რატომ? ვინ უნდა აგოს პასუხი ასეთი აშკარა ღალატისათვის? თქვენ ეს არც მაშინ გაინტერესებდათ და არც ახლა ხართ დაინტერესებული გაარკვიოთ მიზეზები, რომლებმაც ჯერ გაგრის დაცემა და შემდეგ აფხაზეთის დაკარგვა განაპირობა?!

რატომ არ გინდათ სიმართლე თქვათ იმის თაობაზე, თუ ვინ უბრძანა ხელფეხს ქართველ მეომრებს. მახსოვს ნეტარხსენებულმა მიშა მარინაშვილმა მითხრა: „ვერაფერი გავიგე, რისთვის მახოცინებენ ჩვენს ბიჭებს შეგნებულადო. თუ ასე გაგრძელდება, ყველაფერს დავტოვებ და აქედან გავიქცევი ან თავს მოვიკლავო!!!“

რატომ არ დაინტერესდით დაგედგინათ, ვინ იყო კონკრეტული დამნაშავე, როცა ტყვიაწამალი გაგვითავდა და თვითმფრინავმა, რომელსაც გულისფანცქალით ველოდებოდით, ტყვიაწამლის ნაცვლად... კონსერვები ჩამოგვიტანა?

არა, თადარიგის პოლკოვნიკო, ბატონო დავით, თქვენი ინტერვიუს მიხედვით ნათლად ჩანს, რომ თქვენ, როგორც ამას თქვენი საუბრის ჩამწერი აცხადებს, სამაჩაბლოს და აფხაზეთის ომების მონაწილე, თადარიგის პოლკოვნიკი, ენერგიითა და სიცოცხლით აღსავსე, ვისაც პროფესიული ცოდნა დ... გამოცდილება არ აკლია, რატომაა თადარიგში? დღეს ხომ ეროვნული არმიის მშენებლობა მიმდინარეობს“...

ჩემთვის გასაგებია, თადარიგის პოლკოვნიკო, გენერლის მუნდირს რომ იზმანებთ და ამაში არაფერია ცუდი, რადგან გენერლობა კარგ ჯარისკაცსაც ენატრება, მაგრამ...

ჯონი ლატარია

ილია ჭავჭავაძის საზოგადოების გამგეობის წევრი

გაგრის ყოფილი გამგებელი

P.S.1. აქ უნდა დამესვა წერტილი „ღია წერილისათვის“, მაგრამ როცა ერთხელ კიდევ გადავიკითხე თქვენი „ინტერვიუ“, კორესპონდენტის მიერ დასმულმა ერთმა მეტად საგულისხმო შეკითხვამ, მიიქცია ჩემი ყურადღება. აი ეს შეკითხვაც:

„აფხაზეთის ომის ტრაგედიაზე ბევრს წერენ, ამ ბრძოლების მონაწილეებიც და მომსწრე სამოქალაქო პირებიც, ხშირად ერთმანეთისაგან ურთიერთგამომრიცხავ ინფორმაციას გვაწვდიან.

თანდათან საერთო სურათი ათას ნაწილად იმსხვრევა და ძნელი ხდება მისი შეკრება. იქნებ თქვენ გეცადათ და აღგედგინათ ის ბრძოლები, რომლებშიც პირადად იღებდით მონაწილეობას, როგორც ვიცით, გაგრის ბრძოლებში მონაწილეობდით?“

ბატონო დავით, როგორც ფიქრობთ, გაეცით თუ არა ამ კითხვას პასუხი? კორესპონდენტი ჩივის: „აფხაზეთის ომის ტრაგედიაზე“... „ხშირად ერთმანეთისაგან ურთიერთგამომრიცხავ ინფორმაციას გვაწვდიანო“... „იქნებ თქვენ გეცადათო“ და ა.შ.

თქვენ ბევრი „ეცადეთ“ და საკუთარი პერსონის, როგორც „სამხედრო საქმეში ღრმად ჩახედული სპეციალისტის“ ქება-დიდებას მეტი დრო მოანდომეთ, ვინემ იმას, თუ ვინ მიგაჩნიათ აფხაზეთის ტრაგედიის და აფხაზეთის ომის კონკრეტულ ორგანიზატორად.

მალე ოთხი წელი შესრულდება გაგრის დაცემისა და აფხაზეთის დაკარგვის ავადმოსაგონარი დღიდან. თქვენ მართლა ის პიროვნება თუ ბრძანდებით, ვინც თავს უფლება მისცა თავდაცვის იმდროინდელი მინისტრისა და მხედრიონის „სულიერი მამის“ მოქმედება შეეფასებინა, გეთქვათ, რომ „სარდალს სამხედრო პოლიტიკური ხედვა უნდა ჰქონდესო“, ნუთუ ოთხი წლის მანძილზე ვერ გაანალიზეთ, ვინ დაიწყო ომი აფხაზეთში!

თქვენ ხომ დაწვრილებით აღწერთ, როგორ გააღიზიანა ბატონ თენგიზ კიტოვანი ცნობამ გაგრაში მხედრიონის **600** კაციანი ჯგუფის გაგზავნის განზრახვაზე და ამბობთ: კიტოვანმა დაურეკა შევარდნაძეს: „რა უნდა გაგრაში, რატომ მიდის? მაგას თავისი ოცნების ასრულება უნდა, მაფიოზურ ქვეყანად აქციოს საქართველო და იბატონოს, ჩავა იქ, და ყველაფერს ა[illegible]ევ-დაურევსო“ ლაპარაკის შემდეგ თურმე ბატონ[illegible] „შევარდნაძე გელოდება და სასწრაფოდ წადიო“.

და, მკითხველს სთავაზობთ გულისამაჩუყებელ, მამაშვილურ დიალოგს შევარდნაძესთან... თურმე ბატონმა ედუარდმა ბრძანა:

„რა არის, იცით... თქვენ ჩემი შვილიშვილის ტოლები ხართ... არ არის ჯერ ცხოვრება ისე აწყობილი, რომ მას ვინმემ უთხრას, შენ იქ არ წახვიდეო და ის იქ არ წამოვიდეს“ (ჯაბას გულისხმობდა)!

მამაცხონებულო, მაშინ თუ იყავით შევარდნაძესთან ასე დაახლოებული, რა ღმერთი გაგიწყრათ დღეს, პირში წყალი რომ დაგიგუბებიათ და სიმართლის თქმისა გეშინიათ?

რატომ არ ამბობთ, რომ აფხაზეთში ჯარის შეყვანა წმინდა წყლის ავანტურა იყო?! რაო, შევარდნაძემ არ იცოდა, რაც მოყვებოდა ამ უგუნურ ნაბიჯს?! თუ შეიყვანა ჯარი აფხაზეთში, ეშერასთან რატომ გააჩერა? ეს ხომ დაღუპვის ტოლფასი იყო და ასეც მოხდა. მ[illegible] ხომ აფრთხილებდნენ, „აფხაზეთში შეიარაღებული ძალების შეყვანას გაუთვალისწინებელი შედეგები მოყვებაო“. ამაზე რატომ სდუმს თადარიგის პოლკოვნიკი — ხომასურიძე?

თუ კონსტანტინე გამსახურდიას ერთ-ერ[illegible] რომანის გმირის „ცბიერი დიპლომატის“ გამოთქმის „ლომს, გინდ ცალთვალას, ვინ აკადრებს ელაში ხარო“ ერთგული ხართ და სიმართლის პირში თქმას ერიდებით?! „ცალთვალა ლომი“ ახლა საქართველოს პრეზიდენტია... და ვინ ვინ, მაგრამ შევარდნაძე რომელი ცანცარა პოლიტიკანი იყო, კრემლში მომზადებული სცენარის მიხედვით გათამაშებული „აფხაზეთის ტრაგედიის“ ფინალი არ სცოდნოდა?! ანდა, სოხუმში რა უნდოდა, „უმაღლესი მთავარსარდლის“ ჩინ-მედლებით შემკული რომ ჩავიდა? განა არ იცოდა, სოხუმიც გაგრის ზედს რომ გაიზიარებდა?! იცოდა, როგორ არ იცოდა! მხოლოდ მან ერთმა კაცმა იცოდა, მაგრამ ისე, როგორც თქვენ ახლა გენერლობას უმიზნებთ, შევარდნაძე იმ დროს პრეზიდენტის ტახტს უმიზნებდა და ჭულებს აგროვებდა.

„არ არის ცხოვრება ისე აწყობილი“, ოთხი წლის წინათ ჭკუას რომ გარიგებდათ, ახლა ხომ არის „ცხოვრება ისე აწყობილი“ როგორც მას უნდა! ახლა ხომ „ძალიერი პრეზიდენტის“ ჟამი დგას! მაშ რა უშლის ხელს, გააკეთოს ის, რასაც **1992** წლის **3** ოქტომბერს, გაგრიდან ლესელიძეში გახიზნული ხალხს პირდებოდა:

„რამდენიმე დღეში გაგრაში დაგაბრუნებთო“.

ახლაც ხომ იგივეს იმეორებს: „ცოტა მადროვეთ და მშვიდობიანი გზით თუ არა, ძალით დავიბრუნებთ აფხაზეთსო“, როგორია ის მშვიდობიანი გზა? რანაირია ის „ძალით დაბრუნების“ მექანიზმი?! აი, რას უნდა უპასუხოთ თქვენ, ბატონო თადარიგის პოლკოვნიკო, რადგან სარდალსა და მის მთავარსარდალს წინდახედულობის, სწორი ორიენტაციის, ტაქტიკისა და სტრატეგიის შეხამების, დროული მოქმედების უნარი უნდა ჰქონდეს, რაც არც ერთს და არც მეორეს არ გაგაჩნიათ.

ქართველი ხალხი დაიღალა როგორც თქვენისთანა გენერლობის მაძიებლების, ისე შევარდნაძისთანა „ძლიერი პრეზიდენტის“ დაპირებებით და ბაქიობით!

ხალხს, რომელიც აფხაზეთის ომით გამოწვეულ აუტანელ გაჭირვებას იტანს, მზრუნველი პრეზიდენტი ჭირდება, ახალმშენებარე ეროვნულ არმიას კი — ნჭიერი სარდალი!

აი რა უნდა გახსოვდეთ თქვენ, ბატონო თადარიგის პოლკოვნიკო.

დაიმედებული ვარ, ჩემ „ღია წერილს“ უპასუხოდ არ დატოვებთ.

ჯონი ლატარია

8 ივლისი, 1996 წელი.

P.S.2. მე მეგონა, „ღია წერილს“ წერტილი დავუსვი — მეთქი. გაზეთ „საქართველოში“ მიტანილი ჩემი წერილის გამოქვეყნება ოდნავ დაყოვნდა და ამ დღეებში წავიკითხე თქვენი პასუხი მხედრიონელ ზურაბ დანელიას წერილზე, რომელიც შესაფერი ოპერატიულობით დაიბეჭდა **15** ივლისის „საქართველოში“ სათაურით „აფხაზეთის გასაღები გაგრაში იდო“. თქვენ აწერთ ხელს.

თქვენი წერილი რომ წავიკითხე, ერთხელ კიდევ დარწმუნდი, რომ ჟურნალისტობა, მართლაც „მეორე უძველეს პროფესიად ითვლება“. რაც შეეხება თქვენს „ოპერატიულობას“, შე მამაცხონებულო, ასეთი „დროოული მოქმედები!... ნიჭით თუ იყავით მომადლებული, რაღა ახლა იჩენთ ამ უნარს და არა გაგრაში, რომელიც სწორედ თქვენი და თქვენისთანა „სარდლების“ წყალობით დაეცა?! თქვენმა „წერილებმა“ ერთ რამეშიც დამარწმუნა; „როგორც ჩანს, თქვენ, ამჟამად უნიჭიერესი სამხედრო სპეციალისტი ბრძანდებით ჟურნალისტთა შორის და უნიჭიერესი ჟურნალისტი — სამხედრო სპეციალისტთა შორის.

ახლა საქმეზე:

პირველ ინტერვიუში მე, ჯონი ლატარიას, წკეპლა რომ გადმომკარით, ახლა ჯონიც გადამატეხეთ ზურგზე, მაგრამ ერთი რამ დაგავიწყდათ ბატონო დავით, რომ ჯონს ორი ბოლო აქვს და ის მეორე ბოლო თქვენთვისაც მოიცლის!

მადა ჭამაში მოდისო, უთქვამთ და თქვენც წერაში ისე გაწაფულხართ, რომ შემთხვევას ხელიდან არ უშვებთ, რათა ახალ-ახალი „ბრალდებები“ წამომიყენოთ.

1. „თუ რატომ უნდოდა ჯონი ლატარიას გაგრაში მაინც და მაინც „მხედრიონის“ ჩამოსვლა, ამაზე ალბათ თვითონ უნდა გასცეს პასუხიო“.

ჩემი „ცოდვები“ რომ დაამძიმოთ თქვენ წერილში, მხედრიონელი ბადრი ფირცხელანი რომ მხედრიონის ჩამოსვლას მოითხოვდა, აქ სადაო და გასაკვირი არაფერია, რაც შეეხება ჯონი ლატარიას, თქვენ არც კი დაფიქრებულხართ (ეკამათებით ზურაბ დანელიას ჯონ[illegible] ისინ[illegible] გამოააშკარავეთ გაგრის [illegible] ... ჯონ[illegible] ლატარიას[illegible] და მხედრიონის ალიანსი“.

ბატონო დავით, თქვენ [illegible] ... ალიანსის“ მნიშვნელობა, [illegible] ... ბით ერთხელ კიდევ ცდილობთ პირადი ანგარიშის გასწორებას, რაც წინასწარ არის განწირული. ჯერ ერთი, მე ვინ მეკითხებოდა გაგრაში მხედრიონის ჩაყვანასა... და ასეც რომ ყოფილიყო, რაო, ჯონი ლატარიას ბატონ ედუარდ შევარდნაძეზე მეტი ავტორიტეტი ჰქონდა? თქვენ ხომ შემოგჩივლათ ბატონმა ედუარდმა: „ჯერ ცხოვრება ისე არ არის აწყობილი, რომ მას ვინმემ უთხრას შენ იქ არ წახვიდეო და ის აქ არ წამოვიდეს (ჯაბას გულისხმობდა)“... მე დავძენ, ჯაბასთან ერთად მხედრიონსაც გულისხმობდა. ახლა ისა დაგრჩენიათ, ბატონ ედუარდსაც დასწამოთ ალიანსი „მხედრიონთან“. მით უფრო, თუ მეხსიერება არ გღალატობთ, იმ დროს ბატონ ედუარდს არაერთხელ უთქვამს: „მეც მხედრიონელი ვარო“. თქვენ თვითონ აღიარებთ, რომ „რაც შეეხება ვაჟა ქრისტესაშვილს და მასთან ერთად გაგრაში დარჩენილ **36** კაცს, რომლებიც მხედრიონს თბილისში არ გაჰყვნენ, მათ თაობაზე მე ჩემს ინტერვიუშიც აღვნიშნე და კიდევ ერთხელ გავიმეორებ, ისინი მართლაც სულით ხორცამდე მებრძოლები იყვნენ სხვებისაგან განსხვავებითო“ და მეც, სწორედ იმ „სულით ხორცამდე მებრძოლებს“ ვცემდი ბატიჟს და თქვენ, ბატონო დავით, ამას მხედრიონის ზოგიერთ უღირს მებრძოლებთან „ალიანსს“ რომ არქმევთ, ნუთუ სინდისი არ გაწუხებთ! თქვენ ხომ კარგად იცით, რომ სამხედრო-საბრძოლო მოქმედებაში მე არავითარ მონაწილეობას არ ვიღებდი და არც შემეძლო მიმეღო.

ჩემს მოვალეობაში შედიოდა ქალაქს ელექტროენერგია, წყალი და პური ჰქონოდა, ემუშავა ტრანსპორტს, ბაზარს, სასურსათო მაღაზიებს და ცხელი კერძი არ მოკლებოდა **1500** კაცს (მხედრიონს, გვარდიას, მოხალისეებს თუ სხვა შენაერთებს). ერთი-ორჯერ დავესწარი თქვენი შტაბის სხდომებს მარინაშვილისა და კვანტალიანის მოწვევით. ეს იყო და ეს და თუ რაიმე შენიშვნები გამოვთქვი, ღმერთია მოწმე, მართალი ვყოფილვარ, არ გჯერათ?

აბა, გაიხსენეთ, ალახაძის ტერიტორიაზე გაგრის ბატალიონის მიერ მეფრინველეობის ფაბრიკის აღება, და „ნებაყოფლობით“ უკან დაბრუნება. გაიხსენეთ „იუნარის“ ოპერაცია, რომელსაც როგორც ახლა წერთ, თურმე გადამწყვეტი როლის შესრულება შეეძლო აფხაზეთის შენარჩუნებაში... მაშინ სად იყავით ბატონო პოლკოვნიკო, მაშინ რატომ არ მოახსენეთ უმაღლეს მთავარსარდალს თქვენი „დასკვნები“.

– სადაც ამტკიცებთ, რომ „აფხაზეთის გასაღები გაგრაში იდო“, ვინ დაიჯერებს ამ პსურნოს?! ვინ არ იცის, რომ აფხაზეთის გასაღები თბილისში, ბატონ ედუარდ შევარდნაძეს ედო ჯიბეში!

რაო, სიმართლის თქმისა გეშინია, ბატონო დავით!

მე კი არ მეშინია და თუ გნებავთ „ბაქიობად“ ჩამითვალეთ ის, რომ ჯერ კიდევ **1992** წლის **6** ოქტომბერს მაშინდელი სახელმწიფო საბჭოს სხდომაზე გამოვედი და ვთქვი: „გაგრის დაკარგვით აფხაზეთი დავკარგეთ-მეთქი“. **1993** წლის აგვისტოს შუა რიცხვებში კი პარლამენტის იმდროინდელ სპიკერთან ბატონ გოგუაძესთან, გაგრის ლტოლვილებთან და აფხაზეთის ზოგიერთი დეპუტატის თანდასწრებით შეხვედრაზე ვთქვი, გაგრის ბედს უმზადებენ სოხუმს და მშვიდობიანი მოსახლეობა გამოვიყვანოთ—მეთქი“...

ღმერთმა იმედი ნუ დაგიკარგოთ და ხელი მოგიმართოთ „იმედის“ ბიჭო, გენერლობაზე.

ხალხის სამსჯავროს წინაშე მომავალ შეხვედრამდე, პოლკოვნიკო!

პატ. ჯონი ლატარია

1996 წლის 18 ივლისი.



თარაზულად: 3. ყველაზე სწრაფი თამაში მსოფლიოში — ბასკური ბურთაობა; 5. წვრილი ფული ისრაელში; 8. შეურიგებელი წინააღმდეგობა; 9. ცნობილი ქართველი ბალერინა; 14. ნიკოტინის შემცველი მცენარე; 15. გადამდნარი კარაქი; 16. გარკვეული მუშაობის შემსრულებელი ხელსაწყო; 17. სახელმწიფო ევროპაში; 20. ელჩი; 22. რამდენიმე ქვემეხისაგან შემდგარი საარტილერიო ქვეგანაყოფი; 24. ახალგაზრდა ქართველი მხატვარი ქალი; 26. პირველყოფილი თემური წყობილების ფორმა, რომლის დროსაც ქალი ბატონობდა; 27. სათევზაო მოწყობილობა; 28. თმა სახეზე.

შვეულად: 1. სიმღერა, რომელსაც სატრფოს სარკმლის წინ ასრულებდა მამაკაცი საკრავის აკომპანიმენტით (შუა საუკუნეების იტალიასა და ესპანეთში); 2. რომელიმე წყლის აუზში არსებული სამხედრო გემების ერთობლიობა; 4. რაიმე ცალკეული მოქმედება; 5. ინდუიზმის ღვთაება; 6. სწრაფად, მკვირცხლად; 7. ენერგიის უმცირესი რაოდენობა; 10. იტალიელი მწერალი; 11. ხვეწნა, მუდარა; 12. საკრავი; 13. სიბრტყის ნაწილი, მრუდი ან ტეხილი ხაზით შემოფარგლული; 18. ქალაქი საქართველოში; 19. ფეოდალთა ტიტულის და თანამდებობის აღმნიშვნელი ტერმინი XIII—XVIII საუკუნის ამიერკავკასიაში; 21. დავით აღმაშენებლის თანამებრძოლი საქართველოს გაერთიანების საქმეში; 23. მოწონების, აღტაცების, თანხმობის გამოხატვა (სასაუბრო სიტყვა); 25. აზიის სამი ქვეყნის მდინარე; 26. ლეგენდარული ინდოელი კანონმდებელი.

წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდის პასუხები:

თარაზულად: 3. აკლამაცია; 5. სალუქვაძე; 6. ემოცია; 9. დოლაბი; 11. ფარსადანი; 15. ბეთანია; 16. აბედი; 17. ტალანტი; 19. კევი; 22. ჭემი; 23. კალთა; 24. რანჩო; 25. ხბო; 26. ანცი; 27. კუტი; 28. ასო.

შვეულად: 1. სკრაბი; 2. ვინძლო; 4. მაქსიმა; 7. მადონა; 8. აორტა; 9. დრაფი; 10. ბოკალი; 11. ფრანკლინი; 12. ინტერნატი; 13. მთავრობა; 14. ინტერესი; 15. ბუკე; 18. ილია; 20. ბაჭია; 21. არაკი.

მთავარი რედაქტორი

ნოდარ გრიგალაშვილი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, თავისუფლების მოედანი, კუშკინის ქ. 5

გაზეთის ინდექსი 66447

ფასი 50 თეთრი

ტელეფონები:
რედაქტორი:
93-20-36,
პასუხისმგებელი მდივანი:
93-18-41